სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 იანვარი 2008 №013 (3237) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიის ბაღლი ჯერ ვერ გამოჩნდა

ქალებმა თავი დაკარგეს კაცებს ახალი გმირი ჰყავთ



მარია შარაპოვა

სეზონის პირველ სლემტურნირზე გადამწყვეტი მატჩების ჟამი დადგა. გუშინ მელბურნ-პარკის კორტებზე პირველი ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ და მათ შორის არ არიან არც ქალთა რეიტინგის პირველი ნომერი, ბელგიელი ჟუსტინ ენინი და არც შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი სერენა უილიამსი.

ენინს რუსმა ლამაზმანმა მარია შარაპოვამ 6:4 6:0 გადაუარა, დამძიმებულ სერენას კი სერბმა ელენა იანკოვიჩმა 6:3 6:4 მოუგო.

კაცთა მეოთხედფინალებმა გაცილებით მშვიდად ჩაიარა, თუმც ჟოვილფრედ ცონგას მორიგი გმირობა მაინც გამოსარჩევია — განუთესავმა ფრანგმა, რუსი მიხაილ იუჟნის სახით, უკვე მესამე განთესილი ჩამოიცილა და კარიერაში პირველად უწია სლემტურნირის ნახევარფინალს, სადაც ფინელი იარკო ნიემინენის უიოლესად მძლეველ რაფაელ ნადალს დაეჯახება.

ჟო-ვილფრედ ცონგა

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჟუსტინ ენინი სახლში წაგიდა

თანამეგობრობის თასი

A ჯგუფი

ზენიტი 2:1 ლევადია

1:0 იგნატოვიჩი (17), 2:0 იურჩენკო (20), 2:1 ნაჰკი (66)

აშხაბადი 0:4 შერიფი

0:1 ბალიმა (6), 0:2 პერეირა (44), 0:3 კონსტანცა (70), 4:0 ალექსეევი (73)

ზენიტი	3	2	0	1	6:4	6
შერიფი	3	2	0	1	8:3	6
აშხაბადი	3	1	0	2	2:6	3
ლევადია	3	1	0	2	2:5	3

B ჯგუფი

აქტობე 1:0 ხაზარი

1:0 აშირბეკოვი (90პ)

კაუნასი 5:1 რეგარ-ტადაზი

1:0 პეხლიჩი (28), 2:0 ფატახოვი (36), 2:1 რაბიმოვი (53პ), 3:1 ლედესმა (66), 4:1 ბარავიგიუსი (73), 5:1 ვიჩუსი (79)

კაუნასი: დრეერი (მალინაუსკასი 83), ზუბავიჩუსი, ხუბუტია, ბაგუჟისი (ჩინიკასი 75), რეგელსნისი, სკრეპისი, გ. კვარაცხელია (ვიჩუსი 56), პეხლიჩი (კუნიავიჩუსი 80), ლაურიშასი (ბარავიგიუსი 46), ლედესმა (მენდი 78), ფატახოვი (ვალსკისი 71)

გაფრთხილება: ხუბუტია, პეხლიჩი, ბაროტოვი, სკრეპისი, დრეერი, კარიმოვი, ისმაილოვი

ხაზარი	3	2	0	1	4:2	6
კაუნასი	3	2	0	1	9:6	6
აქტობე	3	2	0	1	8:4	6
რეგარ-ტადაზი	3	0	0	3	2:12	0

C ჯგუფი

ოლიმპი 3:0 ვენტსპილსი

1:0 ხუბუა (24), 2:0 დელიმინკოვი (32ს.კ.), 3:0 პატულა (76)

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, სილაგაძე (კოვალევსკი 59), ხუბუა, სტეფანიშვილი (მახვილაძე 46), პატულა, ჯოჯუა (ომელიანოვი 66), მეტრეველი, თ. ფარულავა, სებისკვერაძე (გეწაძე 87), ვ. კვარაცხელია

ვენტსპილსი: ელტერმანისი (ვანინი 46), პიხოცკი, დელიმინკოვი (ციგალკო 52), მილოშევიჩი, ბესპალოვი, კოსმაჩევი (მისიკოვი 46), პაუნოვიჩი (ციგირლაში 72), რუგინში, დედოვი (სოლეიჩუკი 39), კაჩანოვი, ლაზდინში

გაფრთხილება: მილოშევიჩი, სოლეიჩუკი

გაძევება: მილოშევიჩი (33)

მსაჯი: ს. გოროხოვოდაცკი (ყაზახეთი)

ოფკ 2:0 დორდოი-დინამო

1:0 მილოვაცი (28), 2:0 შეპოვიჩი (90)

მსაჯი: ლ. სილაგავა (საქართველო)

ოლიმპი	3	3	0	0	8:2	9
ვენტსპილსი	3	2	0	1	3:3	6
ოფკ	3	1	0	2	2:4	3
დორდოი	3	0	0	3	2:6	0

D ჯგუფი

ბატე 2:1 ფახთაქორი

1:0 როდიონოვი (24), 1:1 ფ. ტაჯიევი (48), 2:1 სკავიში (80)

კრივეცმა ვერ გაიტანა პენალტი (24, ბატე); ინომოვმა ვერ გაიტანა პენალტი (28, ფახთაქორი); ბლიზნიუკმა ვერ გაიტანა პენალტი (36, ბატე)

დინამო 1:0 ბანანცი

1:0 მოროზიუკი (66პ)

ფახთაქორი	3	2	0	1	5:2	6
ბატე	3	1	2	0	4:3	5
დინამო	3	1	1	1	2:2	4
ბანანცი	3	0	1	2	1:5	1

სამიდან სამი

ოლიმპმა ჯგუფიდან გაიქროლა

სანკტ პეტერბურგში მიმდინარე „თანამეგობრობის თასის“ მესამე დღეს რუსთავის „ოლიმპმა“ ლატვიის ჩემპიონ „ვენტსპილსს“ სამი უპასუხო ბურთი გაუტანა და მესამე გამარჯვება მიითვალა.

ორივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლა გარანტირებული ჰქონდა, ამიტომ მწვრთნელებმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენეს და თავის გამოჩენის საშუალება სხვებსაც მისცეს.

ვინ როგორ გამოიჩინა თავი, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს — მთელი თამაში ქართველთა უპირატესობით მიმდინარეობდა.

24-ე წუთზე თანაგუნდელთა შეტევა გელა ხუბუამ დააგვირგვინა შედეგიანად. ცოტა ხანში ლატვიელებმა ქართველთა ზეწოლას ვერ გაუძლეს და დელიმინკოვს ბურთი საკუთარ კარში ჩაეჭრა — 2:0.

აქედან ერთ წუთში კი ლატვიელები მოედანზე ათნი დარჩნენ.

რიცხობრივ უპირატესობაში მყოფ ქართველებს შეტევები არც მეორე ტაიმში შეუწყვეტიათ, თუმც მხოლოდ ერთი გოლი იკმარეს — 76-ე წუთზე თავი უკრაინელმა ლეგიონერმა სერგეი პატულამ გამოიჩინა — 3:0.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ვლადიმერ ჯოჯუა დაასახელეს.

რომან გრიგორჩუკი, „ვენტსპილსის“ მთავარი მწვრთნელი: „წაგება ყოველთვის არასასურველია, თუმც ამ მატჩში ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოვცადე, მათგან რამდენიმე საქმეში პირველად ვნახე. დავინახე, ვის რა შეუძლია — ეს ყველა მწვრთნელისთვის სასარგებლოა. გულწრფელად ვულოცავ ქართველებს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას. „ოლიმპსა“ და „ვენტსპილსს“ დარჩენილ მატჩებში წარმატებებს ვუსურვებ. უკვე დღესვე შევუდგებით „ფახთაქორთან“ მატჩისთვის მზადებას. ტაშკენტელები ტურნირის ფავორიტებად კი ითვლებიან, თუმც ვეცდებით, მოვუგოთ“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ნიკა სტეფანიშვილი ლატვიურ ალყაში

მეოთხედფინალი. დღეს

ოლიმპი (საქართველო) — ბატე (ბელარუსი)
ფახთაქორი (უზბეკეთი) — ვენტსპილსი (ლატვია)
ხაზარი (აზერბაიჯანი) — შერიფი (მოლდოვა)
ზენიტი (რუსეთი) — კაუნასი (ლიტვა)

„თანამეგობრობის თასზე“ საქართველოს ჩემპიონის თამაშით თუ ვიმსჯელებთ, „ოლიმპი“ მეორე წრეში აშკარად მოღონიერებული გუნდი იქნება. თუმცა სადღეისო მთავარი საფიქრალი სანკტპეტერბურგული ტურნირია, რომლის ჯგუფური ეტაპი რუსთაველებმა ქულადაუკარგავად გადალახეს. „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცს „ვენტსპილსთან“ მატჩის მერე დავურეკეთ და, ბუნებრივია, შეჯიბრის მსვლელობაზეც ვესაუბრეთ, ლეგიონერებზეც და უფრო საგვიანო გეგმებზეც...

ანატოლი პისკოვეცი: ჩემს გუნდს ყველა შემთხვევაში მადლობას ვეტყვი

— ვერ გეტყვით, რომ ამ ტურნირზე ჯგუფის ყველა მატჩის მოგებას ველოდი-მეთქი, მაგრამ ეს მოვახერხეთ და, ცხადია, ამით ძალიან კმაყოფილი ვარ — გვითხრა. „ოლიმპის“ მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა — თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ სანკტ პეტერბურგში გუნდი მოსამზადებელი შეკრებიდან ჩავიდა. ორი კვირა ალუშტაში ვიყავით, სადაც ფეხბურთელებს საკმაოდ დიდი დატვირთვები ჰქონდათ და ტურნირში მონაწილეობა, ცოტა არ იყოს, გადაღლილებმა დავიწყეთ. დარბაზის ფაქტორიც ხომ გასათვალისწინებელია, იქ თამაშს უფრო მეტი ენერგია მიაქვს.

— სანკტ პეტერბურგში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გყავთ. ისინი „ოლიმპში“ დარჩებიან?

— გუნდი ჯერ კიდევ დაკომპლექტების სტადიაშია და ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, გასასინჯი ფეხბურთელებიდან გუნდში ვინ დარჩება, ვინ — არა. ისე კი, მზადების დაწყებისას 8 ქართველი და 7 უკრაინელი ახალი ფეხბურთელი გვყავდა, ხოლო დღესდღეობით შესაძლო ახალწვეულთაგან შვიდი ქართველი და სამი უკრაინელი დაგვრჩა.

— სხვათა შორის, ამ უკრაინელებმა პეტერბურგში გოლებიც გაიტანეს...

— დიახ, მათ ჩემზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და სურვილი მაქვს, ისინი „ოლიმპში“ დარჩნენ. ომელიანოვს, კოვალევსკის და პატულას გუშინ ცალ-ცალკე ვესაუბრე და მათაც სურთ, რომ კარიერა ჩვენთან გააგრძელონ. მოკლედ, ამ ფეხბურთელების დატოვება თავადაც მსურს და წინააღმდეგნი არც ისინი არიან. ახლა ყველაფერი კლუბის მეპატრონეებზეა, გააჩნია, უკრაინელ ფეხბურთელებს როგორ პირობებს შესთავაზებენ. ეს უკვე კომერციული საკითხია, წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი, ყველაფერი მოგვარებულია.

— ახალ ფეხბურთელებს კიდევ ელით?

— სეზონის განახლებამდე ჯერ ადრეა და, შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ გავსინჯოთ.

— პეტერბურგიდან პირდაპირ საქართველოში ჩამოხვალთ თუ მოსამზადებელ პერიოდს ისევ უცხოეთში გააგრძელებთ?

— არა, ჯერ რუსთავში დავბრუნდებით, სამი დღე დავისვენებთ და იქვე მზადების მეორე ეტაპი დაიწყება. მოგვიანებით კი მზადებას ან თურქეთში გავაგრძელებთ ან საქართველოშივე, სადმე ზღვისპირას.

— ალუშტაში მოლდოველი ალექსანდრ პოპოვიჩიც გყავდათ, მაგრამ ახლ ის გუნდთან ერთად არ არის...

— პოპოვიჩი საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელია და მასზე უარი არ გვითქვამს. მან ტრავმა მიიღო და დაგვშორდა. ჯერჯერობით არ ვიცი, ის დაგვიბრუნდება თუ არა. მის სამსახურზე ჩვენ უარს არ ვამბობთ.

— პირველ შეკრებაზე რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეთ, პეტერბურგშიც უკვე სამი შეხვედრა ჩაატარეთ. როგორ ფიქრობთ, „ოლიმპს“ ყველაზე მეტად რომელ პოზიციაზე სჭირდება გაძლიერება?

— როგორც ყველა გუნდს, ცხადია, ჩვენც გვაქვს რამდენიმე პრობლემური პოზიცია, მაგალითად, არ გვაწყენდა ერთი თავდამსხმელის დამატებაც...

— ვახტანგ კვარაცხელია დარჩება გუნდში?

— დიახ, ის ჩვენთან ითამაშებს.

— „თანამეგობრობის თასზე“ „ოლიმპი“ უკვე მეოთხედფინალშია. ახლა ალბათ ტურნირის მოგებაზეც ფიქრობთ...

— რა გითხრათ, მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია და, ცხადია, ჩვენც ვფიქრობთ, რომ ფინალში გავიდეთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. გუნდი გადაღლილია. ჩვენ აქ სულ 18 ფეხბურთელით ჩამოვედით და ბიჭებს დასვენების საშუალება არ აქვთ. თანაც მომდევნო შეხვედრაში, სავარაუდოდ, გიორგი კახელიშვილი და რევაზ გეწაძე დაგვაკლდებიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტურნირის მოგებაზე ხელი უკვე ჩავიქნიეთ, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და ვნახოთ, რა გამოგვივა... ისე, ვფიქრობ, რომ სამი თამაშის ზედიზედ მოგება კარგი შედეგია, ჩვენ უკვე დავიმსახურეთ ადგილობრივი პუბლიკის მოწონება და პატივისცემა. ახლა როგორი შედეგითაც არ უნდა დავამთავროთ ეს ტურნირი, ჩემს გუნდს ყველა შემთხვევაში მადლობას ვეტყვი, ბიჭები კარგად თამაშობენ, კმაყოფილი ვარ.

კოგა ინასარიძე

ინგლისი

I ლიგა. XXVIII ტური

ბორნმუთი 4:3 ლუტონი
ჯილინგემი 0:0 ოლდემი
ჰარტლპული 4:3 საუთენდი
სუონსი 2:1 ძრიუ

II ლიგა. XXVIII ტური

ბერი 2:2 ბრედფორდი

კონფერენსლიგა. XXIX ტური

კემბრიჯი 5:0 დროისდენი

ასოციაციის თასი
III ეტაპი

ბარნეტი 1:1დ.დ.(2:0პ) სუინდონი
როვერსი 0:0დ.დ.(5:3პ) ფულემი
უენსდი 1:1დ.დ.(2:4პ) დერბი

ლიგის თასი
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ტოტენჰემი 5:1 არსენალი (1:1)

ბელგია

იუპილერლიგა. გადადებული მატჩები

რუზელარე 1:1 ლოკერენი
ვესტერლო 0:0 ბრიუგე

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXI ტური

ალკმაარი 1:2 ბრედა
ჰერაკლესი 2:0 ექსელსიორი
ტილბურგი 4:0 ვიტესი

შოტლანდია

თასი. IV ეტაპი

აბერდინი 3:1 ფოლკირკი
მოზერუელი 1:0 ჰარტსი
პარტიკი 2:1 დანფერმლაინი
ერდრი — კილმარნოკი *გადაიდო*
ბრეჩინი — ჰამილტონი *გადაიდო*

აფრიკის თასი

სუდანი 0:3 ზამბია

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ავჭალა, ხვალ ანთალია

გუშინ ავჭალის „სინათლეზე“ ტესტ-მატჩი გამართა „ზესტაფონმა“. თემურ მახარაძის გუნდის მეტოქე აზერბაიჯანული „სიმურგი“ იყო, რომელიც რამდენიმე დღეა, თბილისშია.

იმერლებმა 1:0 იმარჯვეს.

პირველი სახიფათო მომენტი „სიმურგმა“ შექმნა, თუმც გრიგოლ ჭანტურიამ ითამაშა საიმედოდ. „ზესტაფონი“ ამის შემდეგ სრულ უპირატესობას დაეუფლა და მე-9 წუთზე ბექა გოცირიძის პასით უბრალოდ ზურაბ იონანიძემ გაიტანა.

ცოტა ხანში იმავ იონანიძის გადაცემის შემდეგ პოლ კესანს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ხელრიანად ვერ დაარტყა. ჭანტურიამ პირველ ტაიმში კიდევ ერთხელ იხსნა „ზესტაფონი“ გაშვებული გოლისგან, მეორე ტაიმში კი უსაქმოდ იყო.

მეორე ნახევარში ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და სახიფათო მომენტიც მხოლოდ ერთხელ შეიქმნა „სიმურგის“ კართან — გიორგი ჭელიძემ კოხტად ჩამოიცილა ორი მცველი და კარშიც დაარტყა, მაგრამ სტუმართა მეკარემ იყოჩაღა.

ამ შეხვედრაში ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო „ზესტაფონს“ ვერ დაეხმარნენ ძმები ნიკა და როინ კვასხვაძეები, ჟილვან ვიეირა, გიორგი ხიდეშელი და შალვა ღონღაძე.

იმერელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *ჭანტურია, ლობჟანიძე, საჯაია, რ. ონიანი, ს. თოდუა, დაუშვილი, კესანი, გ. ჭელიძე, ბიტორ, ბ. გოცირიძე, იონანიძე (ახტურიძე 77).*

ნამატჩევს მცირე კომენტარი ზესტაფონელთა თავკაცმა თემურ მახარაძემ გააკეთა...

— მთლიანობაში ამ შეხვედრით და, საერთოდ, თბილისური შეკრებით კმაყოფილი ვარ. რისი საშუალებაც ამინდმა მოგვცა, ყველაფერი მაქსიმალურად გავაკეთეთ. რამდენიმე ფეხბურთელმა დღეს ტრავმების გამო ვერ ითამაშა. პოლ კესანს და ეტიენ ბიტოოსაც მცირე ტრავმები ჰქონდათ, მაგრამ მაინც კარგად გაისარჯნენ. 24 იანვარს ანთალიაში წავალთ შეკრებაზე, სადაც ორი კვირით დავრჩებით და ამხანაგურ მატჩებსაც გავმართავთ — გვითხრა მახარაძემ.

სხვათა შორის, „ზესტაფონს“ ახალი ავტობუსი ჰყავს.

აზერბაიჯანული „სიმურგი“ კი 3 თებერვლამდე საქართველოში რჩება და ქართულ კლუბებთან ტესტ-მატჩებს გამართავს — 24 იანვარს საჩხერის „ჩიხურასთან“, 26-ში თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან“, 28-ში კი „ამერთან“.

ნუკრი ლოლაძე

სანტოსი ჰო, მაგრამ ჟონატასიც?!

ზესტაფონს კიდევ ერთი ბრაზილიელი შორდება

ამას წინათ „ზესტაფონის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ გვითხრა, ბრაზილიიდან მცველი ედსონ სანტოსი დაგვიბრუნდებაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — სანტოსი საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელს იმერულ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, აქეთ გამოხედვაც არ სურს. როგორც გუშინ მახარაძემ გვითხრა, მისი დაბრუნება ამ ეტაპზე გამოირიცხა.

კიდევ ერთი ბრაზილიელი ჟონატას ტორესი კი იმ სამარცხვინო ამბის შემდეგ ნამეტანი შეშინებულია და ცოლ-შვილს წუთითაც ვერ ტოვებს.

ჟონატასი გუნდს არც თბილისში ახლავს და არც ანთალიაში მიჰყვება. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე, ივი ზესტაფონში დარჩება და მეორე წრისთვის ფარმ-კლუბთან ერთად მოემზადება.

ჟონატასი (შუაში) „ზესტაფონს“ შეკრებაზე არ მიჰყვა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნუკრი ლოლაძე

დინამოს თურქეთიდან ტრავმები მოაქვს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების პირველი თურქული ეტაპი თბილისის „დინამომ“ გუშინ იქაური მეორე ლიგის „ზეიტუნბურნისფორთან“ ამხანაგური მატჩით დაამთავრა და დღეს შინ გამოემგზავრება.

„ზეიტუნბურნისფორს“ ჩვენებმა 2:1 აჯობეს, გოლები 33-ე წუთზე პენალტით მიხეილ ხუციშვილმა და მატჩის ბოლოსკენ ილია სპასოევიჩმა გაიტანეს. „დინამოს“ თურქეთის მეორელიგელთათვის მეტის გატანაც შეეძლო, მაგრამ ამაში ხელი უიღბლობამ და მეტოქის ზღვარგადასულმა უხეშობამ შეუშალა. თბილისელები სერიოზულ ტრავმებს კი გადაურჩნენ, თუმცა ექიმები ლამის ყოველ წუთს მოედანზე შერბოდნენ. ხოლო თურქები აკირემის, სპასოევიჩისა და გრიგალაშვილის გოლებს დაუსხლტნენ — არადა, ჩვენებს უფრო კარგი ანგარიშით მოსაგებად რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდათ.

ერთხელ კი შოთა გრიგალაშვილმა იხსნა „დინამოს“ კარი ნაღდი გოლისგან — ბურთი თავით გამოიტანა.

ოვონო, შ. კაშია (თომაშვილი 69), გ. კაშია, კრშკო, დობეში (გველესიანი 46), ხმალაძე, დიღმელაშვილი, გრიგალაშვილი (ვაწაძე 60), ხუციშვილი, სპასოევიჩი, აკირემი (ქანთარია 87) — ამ ფეხბურთელებით ითამაშეს ჩვენებმა „ზეიტუნბურნისფორთან“.

„დინამოს“ ბანაკიდან ცუდი ამბავიც არის. ვარჯიშზე სერიოზულად დაშავდა თბილისელთა გამოცდილი მცველი ნედ ზელიჩი და, როგორც ვარაუდობენ, მას რამდენიმე კვირა დასვენება მოუწევს.

ასევე ტრავმირებულნი არიან გიორგი მერებაშვილი, გიორგი ნერგაძე და დავით ოდიკაძე, თუმცა მათი მდგომარეობა არც ისე რთულია და ვარჯიშსაც მალე განაახლებენ.

შეკრებიდან დაბრუნებული „დინამო“ ერთ-ორ დღეს დაისვენებს, მზადებას დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გააგრძელებს და მერე ისევ ანთალიას მიაშურებს.

კობა ინასარიძე

მუჯირს განსაკუთრებული ორგანიზმი აქვს

დავით მუჯირი „კრილიას“ არაბეთის გაერთიანებული ემირატებში ახლდა შეკრებაზე, თუმც იქ არც ერთ საკონტროლო მატჩში არ უთამაშია. არადა, „მუმუ“ სრულიად ჯანმრთელი ყოფილა...

„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ის განსაკუთრებული ორგანიზმის გამო, ინდივიდუალურად მომზადებულიყო. ემირატებში მუჯირმა ეს დავალება ბოლომდე შეასრულა და მეორე შეკრებაზე, ესპანეთში გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშებს და ტესტ-მატჩებსაც ჩაატარებს. „კრილიას“ კაპიტნის დიდ პოტენციალში ეჭვი წამითაც არ შემიტანია“ — თქვა სამარელთა თავკაცმა ლეონიდ სლუცკიმ.

კახა შალამბერიძე

ნედ ზელიჩის საქართველო

კომენტარი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა ნედ ზელიჩმა ერთი უცხოური ვებგვერდისთვის გააკეთა, საქართველოს ჩემპიონატს და „დინამოს“ შეეხება.

ავსტრალიელი მცველი, მოგეხსენებათ, ახლა თურქულ შეკრებაზეა...

— გათამაშების ცხრილში ახლა პირველ ადგილზე ვართ, რაც ყველას ძალიან გვახარებს. ამასთანავე, პირველ წრეში ბევრი საინტერესო და სანახაობრივი თამაშიც გვქონდა.

— წარმატების მიღწევის მოლოდინი „დინამოში“ ყოველთვის იქნება. ეს ბუნებრივია, რადგან „დინამო“ 80-იანი წლების დასაწყისში ევროთასი მოიგო და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი კლუბი იყო. დიდი კლუბები კი ყოველ სეზონში მხოლოდ მაქსიმალური შედეგისთვის იბრძვიან.

— ჩვენი მიზანი ჩემპიონობა და თასის მოგებაა. ჩემპიონატში, როგორც უკვე ვიცი, ლიდერები ვარი, თასზე კი მეოთხედფინალში ვართ. თუმცა მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს.

— ქართული ლიგა საკმაოდ ძლიერია, გუნდების უმრავლესობა სწრაფი, კომბინაციური ფეხბურთის თამაშს ცდილობს. აქ ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია.

— ყოფილ საბჭოთა კავშირში ფინანსურად ყველაზე ძლიერი ლიგა რუსეთისაა. შემდეგ უკრაინა მოდის, კიევის „დინამოს“ და „შახტარს“ დიდი ფულის ჩადების საშუალება აქვთ. ამ დროისთვის საქართველო მესამე ადგილზეა.

კოტე კეკელია

ბულგარეთმა საოლსტერო გამოაცხადა

26 მარტს საქართველოს ნაკრები სტუმრობს ჩრდილოეთ ირლანდიას, 6 თებერვალს კი ოლსტერელებს ჩვენი თანაჯგუფელი ბულგარეთი უმასპინძლებს.

ბალკანელთა თავკაცმა პლამენ მარკოვმა ბრიტანელებთან სათამაშოდ 18 ფეხბურთელი გამოიძახა — შემადგენლობა ოპტიმალურია...

მეკარეები: დიმიტარ ივანკოვი (ქაისერი, თურქეთი), გეორგი პეტკოვი (ლევსკი);

მცველები: ვალენტინ ილიევი, ალექსანდრ ტუნჩევი (ორივე ცსკა), ჟივკო მილანოვი, ლუსიუ ვაგნერი, იგორ ტომაშიჩი, მიხაილ გენკოვი (ყველა ლევსკი);

ნახევარმცველები: სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), სტილიან პეტროვი (ასტონ ვილა, ინგლისი), ტოდორ იანჩევი, ვალიზარ დიმიტროვი (ორივე ცსკა), ბლაგო გეორგიევი (დუისბურგი, გერმანია), მარტინ პეტროვი (სიტი, ინგლისი);

თავდამსხმელები: დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი, ინგლისი), იველინ პოპოვი (ლიტექსი), ზდრავკო ლაზაროვი (შინიკი, რუსეთი), დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი, გერმანია).

კახა შალამბერიძე

ზაზა ჯანაშიამ თამაში „ბალტიკაში“ — დაასრულა

ზაზა ჯანაშია და ჭარბი წონა — ამ თემას შეეხო რუსული „სპორტ-ექსპრესი“ და ჩვენც ინტერვიუს სრული სახით გთავაზობთ. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ზაზა ჯანაშია ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელი იყო, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ის ფეხბურთი მაინც ვერ ითამაშა, რასაც მისგან ელოდნენ. ზაზამ ნაადრევადაც დაასრულა კარიერა — ახლა 31 წლისაა და მოსკოვის „ლოკომოტივ-პეროს“ საფეხბურთო სკოლაში ბავშვებს ავარჯიშებს. თავის დროზე მას უთამაშია: ზუგდიდის „ოდიშში“ (59 მატჩი, 13 გოლი), თბილისის „შევარდენში“ (30 მატჩი, 14 გოლი), „სამტრედიაში“ (23 მატჩი, 17 გოლი), მოსკოვის „ლოკომოტივში“ (145 მატჩი, 35 გოლი), თბილისის „ლოკომოტივში“ (22 მატჩი, 6 გოლი), თურქულ „ქოჯაელისფორში“ (3 მატჩი, 0 გოლი) და კალინინგრადის „ბალტიკაში“ (12 მატჩი, 3 გოლი). საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კი 9 თამაშში 4 გოლი გაიტანა... ახლა კი დაპირებული ინტერვიუც...

ეს კი საფირმო ლოკომოტივური მალაყია

ჩემი წონა ჩემი სტილი იყო

ზაზა ჯანაშია: ყველაზე მეტად სასწორის დანახვა მძულდა

— შვებულების შემდეგ კლუბში რომ ბრუნდებოდით ხოლმე, ალბათ, ფიქრობდით: „აი, ახლა დაიწყება...“

— რა თქმა უნდა, ამაზე ყოველთვის ფიქრობ, როდესაც ზედმეტი წონით ჩამოდიხარ. მართალია, ყოველთვის ვცდილობდი, წონა ნორმაში მქონოდა, მაგრამ თითოეული ადამიანის ორგანიზმი ხომ ინდივიდუალურია. თუმცა, წონისთვის გუნდში მაინცდამაინც არ მაკრიტიკებდნენ. რაც მთავარია, ეს თამაშში ხელს არ მიშლიდა.

— ზედმეტი წონის გამო პრობლემები ხშირად გექმნებოდათ?

— იცით, რატომ ეშინია ფეხბურთელს წონის მომატების? იმიტომ, რომ შემდეგ მისი დაკლება ძალიან რთულია. ბევრი სირბილი და ოფლისღვრა გიხდება. ამ დროს კი ძალიან იღლები...

— ასეთ დროს ადამიანი ფსიქოლოგიურადაც იღლება?

— თავისთავად. ამ დროს თავში მხოლოდ ერთი და იგივე გიტრიალებს — უნდა დაიკლო, დაიკლო... კიდევ რამდენი დარჩა? 4 კილო! ერთი სიტყვით, ტვინი გეღლება...

— სასწორზე დღეში რამდენჯერ დგებოდით?

— სასწორის დანახვა საერთოდ არ მსურდა. მას ვერ ვიტანდი. შეკრებაზე ასაწონად რომ უნდა წავსულიყავით, ყველაზე ცუდი რამ იყო ჩემთვის. ყველაზე მეტად კი, იცით, რა მიხარდა? როდესაც სასწორზე დავდგებოდი და ზედმეტი წონა მხოლოდ ორი კილო მქონდა. მისი დაკლება ერთ ვარჯიშზე შეიძლებოდა, ხოლო 5-6 კილოგრამის დაკლება საკმაოდ რთულია.

— შვებულების შემდეგ „ლოკომოტივის“ მწვრთნელებს მკაცრ რეჟიმში ეყოლებოდით...

— მართალი გითხრათ, ჭამის საშუალებასაც არ მაძლევდნენ.

— სერიოზულად?

— დიახ. მახსოვს, ერთხელ პორტუგალიაში ვიყავით შეკრებაზე და ოთხი ფეხბურთელი, რომელსაც ზედმეტი წონა გვქონდა, ცალკე მაგიდასთან დაგვსვეს და მხოლოდ სალათებს გვაჭმევდნენ.

— ალბათ ხორცის ჭამა გენატრებოდათ...

— ძალიან. წარმოიდგინეთ, რომ მთელი დღე კურდღლებივით მხოლოდ მწვანილს ვჭამდით. თუმცა, ეს თავიდანაა ძნელი, ხოლო შემდეგ ეჩვევი. მეტიც: ამ დროს უკვე არაფერი აღარ გინდა — ისეთ დღეში ხარ, ფიქრობ: „რაში მჭირდება ყოველივე? მთავარია, წონა მალე დავიკლო და მორჩა“.

— რატომ იმატებდით წონაში? ორგანიზმს ჰქონდა ამისკენ მიდრეკილება?

— შესაძლოა. მე რომ არც ვჭამო და მხოლოდ წყალი დავლიო, მაინც ვიმატებ. თუმცა ვერ გეტყვით, რატომ ხდება ეს. ორგანიზმის აგებულება მაქვს ასეთი და მსხვილძვლიანი ვარ. წონას მალე ვკრეფ, მაგრამ ელვის სისწრაფითაც ვიკლებ. ორ კვირაში ექვსი, შვიდი და შეიძლება, რვა კილოგრამიც დავიკლო. აღარ მახსოვს, გერმანიაში ვიყავით შეკრებაზე თუ ესპანეთში. დილით ორ სპორტულ ქურთუკს ვიცვამდი და ისე დავრბოდი. როგორც იტყვიან, „ორთქლი გამდიოდა“ და მართლა ვიტანჯებოდი. თანაც, სავანგებოდ მალვიძებდნენ სხვა ფეხბურთელებზე ადრე. ისე გამოდიოდა, რომ დანარჩენ მოთამაშეებს დღეში ორი ვარჯიში უწევდათ, მე კი — სამი.

— მაინც რამდენი კილომეტრის გარბენა გიხდებოდათ?

— ძალიან ბევრის. ზუსტად არ დამინიშნავს, მაგრამ ათ, თხუთმეტ, ზოგჯერ კი, ოც კილომეტრს მაინც ვფარავდი.

— შვებულების შემდეგ, მაქსიმუმ რამდენი კილოგრამი დაგიკლიათ?

— ერთხელ ათი კილოგრამი მქონდა ზედმეტი. თუმცა, ორი კვირის შემდეგ წონა უკვე აღარ მაწუხებდა. საქართველოში რომ ჩავდიოდი, თავს ვერ ვიკავებდი ისეთი გემრიელი კერძებისგან, როგორებიც საცივი, მწვადი და ხაჭაპურია. იმ ხალხისთვის, რომლებიც საქეიფოდ მეპატიჟებოდნენ, უარი რომ მეთქვა, ეწყინებოდათ. ერთი სიტყვით, თავის შეკავება ძალიან ძნელია... ჩემი აზრით, ქართული სამზარეულო მსოფლიოში საუკეთესოა.

— ლუდი გიყვართ?

— არა. უკვე ათი წელია, შამპანურიც არ დამილევია.

— როგორც თქვით, ზედმეტი წონა თამაშში ხელს არ გიშლიდათ...

— ასე იყო. ყველა კარგად ხედავდა, როგორ ვთამაშობდი. პირიქით, ზოგჯერ ჩემი გაბარიტები მეხმარებოდა კიდეც, რადგან მცველებს ფიზიკურად ვჯობდი და გოლები გამქონდა. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი სათამაშო სტილი გახლდათ.

— და, შესაძლოა, ეს პრობლემა ზედმეტადაა გაბუქებული?

— ევროპაში რომ ვიყავი, ამ საკითხით საგანგებოდ დავინტერესდი. არსად, რუსეთის ჩემპიონატის გარდა, ფეხბურთელებს ასე ხშირად არ წონიან. იქ საქმეს პროფესიულად უდგებიან, რაც, ჩემი აზრით, გამართლებულია. თუ ზედმეტი წონა გაქვს, მაშინ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოგიწევს და თავად უნდა გადაწყვიტო საკუთარი პრობლემა. მწვრთნელი სულ არ ნერვიულობს, სასურველ კონდიციაში თუ არ ხარ, ეს საკითხი ფეხბურთელის მოსაგვარებელია. საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს, წონა გაწუხებს თუ არა?! თუ ფეხბურთელი მიცემულ ამოცანას ასრულებს, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

— გამოდის, მომავალში, თუ მწვრთნელად იმუშავებთ, ზედმეტი წონის გამო ფეხბურთელს არ დასჯით?

— არა. ამის გამო, ყველაზე უარეს შემთხვევაში, ორი მატჩით თუ დავსვამ სათადარიგოთა სკამზე. ადამიანი, თუ სულელი არ არის, მიხვდება, რაშია საქმე.

— თქვენ თუ გაჯარიმებდნენ ხოლმე?

— რა თქმა უნდა. თუმცა შემდეგ, თუ კარგად ვითამაშებდი, ფულს, პრემიის სახით, უკან მიბრუნებდნენ.

ასათიანმა თურქეთი დაასრულა

მალხაზ ასათიანი და მოსკოვის „ლოკომოტივი“ თურქულ შეკრებას ამთავრებენ და მოსკოვში ბრუნდებიან.

„ლოკომოტივმა“ გუშინ შეკრების პირველი და ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მინსკის „დინამოსთან“ 1:2 წააგო.

ასათიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და შეუცვლელადაც ითამაშა.

მომდევნო შეკრებაზე რამდენიმე დღეში რკინიგზელები ესპანეთში გაემგზავრებიან.

მიხეილ ჟორჟოლიანი



სტურუა კარვანში რჩება

საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარმეკარე ზვიად სტურუა აზერბაიჯანშია და იქაურ კლუბში მოხვედრას ცდილობს.

სტურუამ საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ბოლნისის „სიონში“ ჩაატარა, ამჟამად კი ევლახშია და იქაურ „კარვანში“ ისინჯება. როგორც აზერბაიჯანული პრესა წერს, ზვიადს დიდი შანსი აქვს, მეორე წრე მეზობელ ქვეყანაში გაატაროს.

29 წლის სტურუას საქართველოს ნაკრებში 11 მატჩი აქვს ჩატარებული.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ჯელაძე ჯელაძესთან ოფიციალურად გადაპიდა

თბილისის „ამერის“ ყოფილმა ფეხბურთელმა გიზო ჯელაძემ კონტრაქტი გააფორმა უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკთან“ და 32 ქართველი წლის ნახევარმცველი მომდევნო სეზონს ყაზახურ გუნდში გაატარებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ვოსტოკის“ შემადგენლობაში მისი ძმა, ზვიად ჯელაძეც თამაშობს.

„ვოსტოკმა“ ამხანაგური მატჩი გამართა მოსკოვის „სპარტაკთან“ და 0:4 წაგო. გიზომ ითამაშა, ზვიადი კი დაასვენეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ზაზა ჯანაშია

ლომების მოთვინიერება

C ჯგუფი

ეგვიპტე 4:2 კამერუნი

1:0 აბდ რაბუ (14ჯ), 2:0, 3:0 ზიდანი (17, 45), 3:1 ეტოო (51), 4:1 აბდ რაბუ (82), 4:2 ეტოო (90ჯ)

ეგვიპტე: ელ ჰადარი, ფათალაჰი, მოავადი, გომაა, ჰანი საიდი, ფათი, აბდ რაბუ, შავკი, ზიდანი (ელ მოჰამადი 68), მოტაები, ზაკი (აბუტრიკა 60)

მწვრთნელი: ჰასან შეჰატა

კამერუნი: კამენი, რ. სონგი, ბიკეი, ატუბა, ნჯიტაპი, მაკუნი (ბინია 38), ნგუემო (ა. სონგი 46), ეპალე, მბია (ემანა 46), იდრისუ, ეტოო

მწვრთნელი: ოტო პფისტერი

გაფრთხილება: საიდი, მოავადი, ფათალაჰი, ბინია

მსაჯი: მოდუ სოვე (გამბია)

ვინ იტყვის, ეგვიპტე ცუდი გუნდიაო — ბოლოს და ბოლოს, აფრიკის თასის ახლანდელი მფლობელი გახლავთ — მაგრამ კამერუნთან „ფარაონების“ ასეთ თამაშს ნაკლებად ელოდნენ. აბა, როგორი საქმეა, პირველ ტაიმშივე სამი ბურთით დაწინაურება ფავორიტთან...

ყველაფერი ადრიანი პენალტით დაიწყო, რომელიც ანდრე ბიკეის ხელით თამაშის გამო დაინიშნა.

დარტყმა ჰოსნი აბდ რაბუმ ითავა, გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ხელახლა დარტყმა უბრძანა — გამორბენისას პაუზა არ შეიძლებო. ამნაც ხელახლა დაარტყა და ზედა ეკუთხეში ჩაჭედა. შესადავებელი ადარაფერი იყო.

სამ წუთში კი „მოუთვინიერებელი ლომები“ სულ მთლად დაიბნენ. მოჰამედ ზიდანმა ბურთი თავის ნახევარზე მოიხელთა, პასი გააკეთა, თავად კი წინ გაიქცა. ბურთი მალევე დააწიეს და „ჰამბურგის“ ფორვარდმა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ზიდანისავე იყო მესამე გოლიც. აქ კი უნდა ვთქვათ, რომ კამერუნელებმა გვარიანი სივრცე დაუტოვეს თავდამსხმელს და უბრძოლველად დაარტყმევინეს.

ამასობაში პირველი ტაიმიც დასრულდა და გასახდელისკენ მიმავალმა ზიდანმა კამერის ობიექტივიც ჩაჰკოცნა...

მეორე ტაიმში სამუელ ეტოომ გაიბრძოლა. ჯერ, ჯერემი ნჯიტაპის პასით ორ მცველს შუა გაძვრა და ისე გაიტანა, ბოლოს კი პენალტითაც შეაგდო — იქ მეკარეზე იყო ჯარიმა — ოღონდ „ფარაონებს“ ამით არაფერი დაჰკლებიათ.

პენალტამდე აბდ რაბუმ ერთიც შეაგდო და ეგვიპტემ პრაქტიკულად გაინაღდა ჯგუფიდან გასვლა — კამერუნზე ძლიერი მეტოქე ხომ ჯგუფში არ ჰყავს.

კოტე კეკელია

21 იანვარი

B ჯგუფი

მალი 1:0 ბენინი

1:0 კანუტი (49ჯ)

მალი: მაჰამადუ სიდიბე, კანტე, კულიბალი, დიამუტენე, ა. სიდიბე, კანუტი, დიარა, კეიტა, დ. ტრაორე (ამადუ სიდიბე 55), ტურე (დიაკიტე 72), მამადუ სიდიბე (ს. ტრაორე 89)

მწვრთნელი: ჟან-ფრანსუა ჟორდა

ბენინი: შიტუ, გასპოზი, ადენონი, შრისოსტომე, ოჯეტოლა (სქსენონი 53), ბოკო, აჯამოსი, ს. ჩომოგო, აუეია (ოლადიპიპკო 82), ოტომოიოსი, ო. ჩომოგო (მაიგა70)

მწვრთნელი: რაინჰარდ ფაბიში

გაფრთხილება: დიარა, ტურე, კულიბალი, ადენონი, გასპოზი

მსაჯი: დემონ ჯერომი (ს. აფრიკა)

20 000 მაყურებელი

კოტ დივუარი	1	1	0	0	1:0	3
მალი	1	1	0	0	1:0	3
ბენინი	1	0	0	1	0:1	0
ნიგერია	1	0	0	1	0:1	0

აჰმედ ფათი (№7) და სამუელ ეტოო



დავიდ ალბელდა: ტაკიმასხარა არ გეგონოთ

დავიდ ალბელდა „ვალენსიაში“ რონალდ კუმანის „რეპრესიების“ ერთ-ერთი პირველი მსხვერპლია, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარში ფეხბურთელმა მიანიშნა, რომ კლუბიდან მისი გაშვების გადაწყვეტილება „კუმანზე ზემოდგომმა ორგანოემა“ მიიღეს. ალბელდას „ასი“ გაესაუბრა

— უკვე იცით, კლუბიდან რატომ დაგითხოვეს?

— არა, ჯერ კიდევ ახსნა-განმარტებას ველოდები და ძალიან მინდა, ეს მალე მოხდეს — მატყობინებენ, რომ ჩემს ზურგს უკან ხალხი ათას საშინელებას ამბობს. არავისი მეშინია, შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ არც რონალდ კუმანთან და არც „ვალენსიას“ პრეზიდენტთან კონფლიქტი არ მქონია. უცებ „ამიფეთქეს“ ეს ამბავი, მითხრეს, „მესტალიადან“ უნდა წახვიდეო... ვფიქრობ, ინიციატივა კუმანზე ზემდგომმა ორგანოებმა გამოიჩინეს.

— ამ რთულ სიტუაციაში თავს როგორ გრძნობთ?

— სიტუაცია მართლაც ძალიან რთულია, გუნდიდან ჩამოცილებული მარტო ვვარჯიშობ და ფეხბურთელებთან კონტაქტი თითქმის არ მაქვს. ალბათ, ეს ყველაზე ცუდი ვარიანტია. დედაჩემი „ვალენსიას“ ჩემს ოჯახად თვლიდა და კლუბთან ჩემმა ჩამოშორებამ მასზე მძიმედ იმოქმედა.

— „ღამურათა“ მაისურას მომავალში თუ მოირგებთ?

— თითქმის შეუძლებელია. არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ტაკიმასხარა კი არა, დავიდ ალბელდა ვარ.

— არც მაშინ დაბრუნდებით „ვალენსიაში“, მმართველობას კუმანი და სოლერი რომ ჩამოსცილდნენ?

— კუმანის და სოლერის გარდა, სხვა ბევრიც უნდა წავიდეს „მესტალიადან“. ახლა გამოჩნდა, ვინ რა კაცია „ვალენსიაში“, ზოგმა, წლების განმავლობაში ძმობას რომ მეფიცებოდა, როცა ჩემი დათხოვნის ამბავი შეიტყო, პირადად საუბარს ვინ ჩივის, მესიჯიც კი არ მაღირსა. ზოგმა კი თავისი სიალალე და გულითადობა გამომაჟღავნა.

— არ მოგეწონებოდათ, ერთ მშვენიერ დღეს „ვალენსიას“ პრეზიდენტი რომ გამხდარიყავით?

— „ვალენსია“ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და გამიჭირდებოდა აქ მუშაობაზე უარის თქმა. პრეზიდენტობასაც მთავაზობთ? ეს ოცნების ასრულება იქნებოდა, თუმცა საკუთარ თავზე უდიდესი პასუხისმგებლობის აღებაც.

— კლუბთან კონტრაქტის ანულირებისთვის გათვალისწინებული თანხა რომ გადაგიხადონ, ამ 60 მილიონით ხუან სოლერისგან აქციებს გამოისყიდით...

— დღესვე გამოვისყიდიდი ამ აქციებს, მაგრამ მათ ინჩასთა შორის დავარიგებდი. „ვალენსია“ გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სენიორ სოლერს და ამ კლუბს ბატონი კი არ უნდა ჰყავდეს, თავად უნდა იყოს ქომაგთა გულთამპყრობელი. არ დაგავიწყდეთ, რომ ვსაუბრობთ გუნდზე, რომელსაც 20 ათასი აქციონერი ჰყავს.

— თქვენი თანაგუნდელები, ვისენტესა და ორიოდ სხვის გამოკლებით, კლუბიდან დათხოვნას სახალხოდ, პრესკონფერენციებზე აკრიტიკებდნენ.

— მათი გამტყუნება არ შემიძლია, ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს, მე კი ვალენსიელებს „ჩვენებად“ და „მტრებად“ ვერ დავყოფ, ეს ომი არ არის... ჩემი სურვილია, ერთმანეთს ღირსეულად და პატივისცემით მოვეპყრათ.

— რონალდ კუმანზე რას გეტყვით?

— რა უნდა გითხრათ? მის მიმართ არც სიძულვილს ვგრძნობ, არც მოწიწებას. უბრალოდ, ინდიფერენტულად, გულგრილად ვარ განწყობილი. როგორც მწვრთნელს, პრეტენზიებს ვერ წავუყენებ, მაგრამ თქვენც ხომ ხედავთ, რომ შედეგები აგვიანებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ვალენსიაში“ ექსპერიმენტები ტარდება, შედეგებს კი ყურადღებას არ აქცევენ.

— „მესტალიაზე“ კი მადურო იყიდეს და წარადგინეს, როგორც ახალი დავიდ ალბელდა. ამის გამო ძალიან გაბრაზდით?

— პირიქით. რადგან ბიჭს ჩემი სახელი დანათლეს, ესე იგი არც ისე საშინელი და გამოუსადეგარი ვყოფილვარ, როგორც ზოგიერთები ამბობენ... მადუროს კლუბში წარმატებებს ვუსურვებ, მინდა, მედია მასზე მალე კეთილგანწყობით ალაპარაკდეს.

— სამომავლო გეგმებზე ვისაუბროთ. სავარაუდოდ, რომელ კლუბში ვიხილავთ დავიდ ალბელდას?

— ინგლისში, კერძოდ, ლონდონში გადასვლის იდეა მიტაცებს ძალიან. თუმცა კარს ცხვირწინ არც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს მივუხურავ. მომავალი გუნდის ვინაობა ჯერჯერობით არ გამირკვევია.

— ადრე ჩვენთან საუბარში აღნიშნეთ, რომ სატრანსფერო შემოთავაზებებზე უარი ორ ინგლისურ კლუბს უთხარით...

— ჩემდამი გამოჩენილი ინტერესისთვის მადლობელი ვარ „ტოტენჰემის“ და „ჩელსისა“, თუმცა ჯერ „ვალენსიასთან“ უნდა მოვაგვარო საქმეები. სანამ ჩემს უფლებებს არ დავიცავ, ახალ გუნდთან შეანხმებაზე არ ვიფიქრებ.

ლადო ხომერიკი

ადრიანომ მანჩინის ძმობა დაუნუნა

სეზონის ბოლომდე „სან პაულუში“ განათხოვრებულმა ადრიანომ განაცხადა, რომ „ინტერში“ დაბრუნება სურს, მაგრამ დიდი შანსია, ეს მაშინ მოხდეს, როცა „ნერაძურის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი აღარ იქნებაო.

შეგახსენებთ, რომ „იმპერატორი“ მამის გარდაცვალების მერე დეპრესიაში ჩავარდა, სმას მიეძალა და უდისციპლინო ცხოვრების წესის გამო ფორმიდან ამოვარდა. ამიტომ მას დიდი ხანი გაუცდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ბევრ რამეში დამნაშავედ მანჩინისაც მიიჩნევს. სამშობლოში სარეაბილიტაციო კურსის გავლის მერე, ადრიანომ უკვე ითამაშა „სან პაულუს“ მაისურით სადებიუტო მატჩში და დუბლიც გაახერხა.

„უკვე რამდენჯერმე ვთქვი, ჩემი ბრალია, წელიწადნახევარი რომ გამიცდა. თუმცა წინა ზაფხულს ყველანაირად ვცდილობდი ყველაფრის ხელახლა დაწყებას და თავდაუზოგავად ვშრომობდი. მანჩინიმ კი ორსამ მატჩში მთამაშა და მერე უმიზეზოდ დამსვა სკამზე. ვთხოვე ეთქვა, რატომ გადაწყვიტა ასე, მაგრამ არასოდეს აუხსნია. ხელი იმასაც შემიშალა, რომ „ინტერს“ ბევრი კარგი ფორვარდი ჰყავს და მე დავიკარგე. ამიტომ გადავწყვიტე ცოტა ხნით წავსულიყავი“ — თქვა 25 წლის ფორვარდმა.

შეგახსენებთ, რომ ადრიანოსა და „ნერაძურის“ ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა ხშირად იძაბებოდა ხოლმე, მაგრამ თავად მანჩინი ყოველთვის ცდილობდა ვითარების განმუხტვას და ერთხელ ისიც თქვა, ადრიანოსთვის უფროსი ძმასავით ვარო. თავად ბრაზილიელი ასე არ ფიქრობს.

„თუ ვინმე ძმასავითაა, ყოველთვის ძმასავით იქცევა. მე კი ბოლო თვეებში დახმარება მჭირდებოდა, რომელიც ვერ მივიღე. შესაძლოა, ამისთვის დრო არ იყო. ყველას თავისებური ხედვა აქვს, მაგრამ ჩემი აზრით, მწვრთნელი ცოტა მეტად მომთმენი უნდა იყოს და ფეხბურთელებთან ადამიანური ურთიერთობა ჰქონდეს. იმედია, დავბრუნდები და დავამტკიცებ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვიმსახურებ. თუმცა ამაში დარწმუნებული ახლა თავადაც არ ვარ და წინასწარ თქმა ძნელია. თუმცა თუ ვნახავ, რომ იქ ჩემი ადგილი არ არის, ცხადია კლუბს დავტოვებ და ნებისმიერ ვარიანტს განვიხილავ. ვიცი, რომ „მილანში“ ჩემს გადასვლაზე იწერებოდა პრესაში, ვერაფერს გეტყვით, „როსონერიში“ თამაშზე ყველა ოცნებობს, მაგრამ მე ალბათ განსხვავებული ვარ, რადგან „ინტერში“ ვირიცხები და იქ დაბრუნება მინდა. თუმცა ახლა ამ ყველაფერზე საუბარი ძალიან ადრეცაა, რადგან წინ საკმაოდ დიდი დრო და ამჟამად მხოლოდ საკუთარ თავზე და „სან პაულუზე“ ვფიქრობ“ — დასძინა ადრიანომ.

ამასთან დაკავშირებით მანჩინიმ ასეთი კომენტარი გაკეთა: „არ ვაპირებ და არ შურს, ადრიანოს პრესის საშუალებით ვუპასუხო, რადგან მასთან ურთიერთობაში ყოველთვის პირდაპირი ვიყავი. რასაკვირველია, თავდამსხმელი ყოველთვის უკმაყოფილოა, როცა არ თამაშობს, მაგრამ ასარჩევად ხუთი ფორვარდი მყავდა და ვცდილობდი, სწორი გადაწყვეტილება მიმეღო ხოლმე“

გიორგი კაკაბაძე

ჯილას ულტიმატუმი სულზე მოუსწრო

ბოლო დღეებში ალბერტო ჯილარდინო „მილანის“ მთავარ ფეხბურთელად იქცა. მოგეხსენებათ, იგი კერას „უდინეზესთან“ მნიშვნელოვან მატჩში 83-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და გამარჯვების გოლი შეაგდო, რითაც უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. ამ გოლმა „პარმას“ ექსფორვარდს სულზე მოუსწრო, თორემ ბოლო პერიოდში მის შესაძლო გაყიდვაზე პრესაში სერიოზული მითქმა-მოთქმა მიმდიოდა. თუმცა ახლა ყველაფერი შეიცვალა.

„ჩემთვის ეს განსაკუთრებული და ამაღელვებელი მომენტი იყო. შეიძლება ითქვას, ამ გოლით დავამტკიცე, რომ კვლავ მზად ვარ და თან გუნდს ძალიან საჭირო სამი ქულა მოვუტანე. „მილანიდან“ წასვლაზე სერიოზულად არასოდეს მიფიქრია და იმ წლების განმავლობაში, რაც აქ ვარ, უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. ერთადერთი, რაც ყოველთვის შემიძლია და რისთვისაც მზად ვარ, ის არის, რომ მინდორზე ბოლომდე დავიხარჯო“ — თქვა ჯილარდინომ.

„მილანის“ ვიცეპრეზიდენტი ადრიანო გალიანი: „მის აგენტს დახლოებით მარტის ბოლოსთვის შეხვედრაზე მართლაც შევუთანხმდით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯილარდინოსადმი ნდობა კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა. ალბერტო ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ალეშანდრე პატო, რონალდო და ფილიპო ინზაგი. ახლა თითოეული პოზიციაზე ნამდვილად ორორი ღირსეული მოთამაშე გვყავს. ჯილარდინოზე ახრი ნამდვილად შევიცვალე. ახლა 22-23 მილიონი ევრო რომც შემომთავაზონ, მაინც არ გავყიდი“

„ჯილარდინოს წარმატება მახარებს, მას ბევრად მეტი შეუძლია, რაც ჯერჯერობით ვიცით. ახლა კლუბში დიდი კონკურენციაა, მაგრამ ალბერტო თავის ადგილს აუცილებლად იპოვის“ — ეს კი „მილანის“ მწვრთნელის კარლო ანჩელოტის სიტყვებია.

სხვათა შორის, „უდინეზესთან“ რონალდომ ახალი ექსტრავაგანტური ვარცხნილობით ითამაშა, რაზეც ანჩელოტიმ საინტერესო კომენტარი გაკეთა: „რონალდოს ასე გამოჩენა მოულოდნელობა იყო, საინტერესო ვარცხნილობაა. თუმცა იგი ჩემი ვაჟი რომ ყოფილიყო, ასეთი ვარცხნილობით სადილზე მაგიდასთან დაჯდომის უფლებას არ მივცემდი.“

გიორგი კაკაბაძე

რანიერი სკუდეტოს დაემშვიდობა

„სამპდორიასთან“ საშინაო უგოლო ფრის შემდეგ, „იუვენტუსის“ ოპტიმისტმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ უკვე პირდაპირ თქვა, ამ სეზონში სკუდეტოსთვის ვეღარ ვიბრძოლებთ, ეს ფაქტობრივად შეუძლებელიაო. ძნელია არ დეთანხმო — „ბებერი ქალბატონი“, რომელსაც ახლა არაერთი პრობლემა აქვს, ლიდერ „ინტერს“ უკვე 12 ქულით ჩამორჩება...

„ჩვენ ვეთამაშეთ საკმაოდ ძლიერ გუნდს, რომელსაც თავდაცვა კარგად ეხერხება. ყველანაირად ვცდილობდით გოლის გატანას და მომენტებიც გვქონდა, მაგრამ დამგვირგვინებელ ფაზაში არ გაგვიმართლა. მუდამ გამარჯვებისთვის და სკუდეტოსთვის ბრძოლა „იუვეს“ სისხლშია, მაგრამ ვერც იმას გავექცევით, რომ „ინტერთან“ სხვაობა უკვე ძალიან დიდია და მისი აღმოფხვრაც ახლა ფაქტობრივად შეუძლებელია. ექსტრაორდინარულ სეზონს ვატარებთ და გუნდს ხელახლა ვაშენებთ. კალჩოპოლის სკანდალის მერე ეს გარდაუვალი გახლდათ, კლუბმა დიდი რესურსი დაკარგა, რასაც აღდგენა სჭირდება. ასეა თუ ისე, ყველაფრის გათვალისწინებით, წარმატებული სეზონი გვაქვს, რომლის პირველი ნაწილიც ბრწყინვალედ ჩავატარეთ და იმედია, მეორეც მსგავსად ჩაივლის. ყოველთვის ვერ მოიგებ, მოთმინება და კონცენტრაციის შენარჩუნებაა მთავარი, ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის ბევრი ძლიერი გუნდი იბრძის და ოთხეულში მოხვედრა ადვილი ნამდვილად არ არის, ყველანაირად უნდა ვცადოთ, რომ ეს შევძლოთ. რაც შეეხება ტრანსფერებს, არ გამორიცხავ, რომ იანვარშივე დავიმატოთ ერთიორი მოთამაშე, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი“ — განაცხადა რანიერიმ.

გიორგი კაკაბაძე

მილანმა ინტერი და დინიო დაადასტურა

ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდინიო, რომელსაც „ბარსელონაში“ პრობლემები აქვს და დიდი შანსია, კატალონია დატოვოს, შესაძლოა, მალე მართლაც „ინტერში“ ვიხილოთ. „მილანის“ ვიცეპრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაადასტურა, რომ „ნერაძური“ დინოთი მართლაც დაინტერესებულია და მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს.



შეგახსენებთ, რომ აქამდე ბრაზილიელი სწორედ „მილანის“, კერძოდ კი მისი პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის მთავარ სამიზნედ მოიაზრებოდა. თუმცა ბოლო პერიოდში „როსონერის“ ბანაკიდან არაერთხელ თქვეს — რონალდინიო აღარ გვაინტერესებსო. ამის მერე ფეხბურთელის „ჩელსიში“ გადასვლაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ ლონდონელებს „ინტერის“ სახით სერიოზული შემცველებელი გამოეჩნდა.

„ვიცი, რომ მათ შორის რამდენიმე შეხვედრა შედგა და ისინი მოლაპარაკებებს მართავენ. ჭორები არ მაინტერესებს, ეს ინფორმაცია პირველწყაროდან მაქვს. ასეა თუ ისე, ეს ჩვენ არ გვაღელვებს, რადგან შემადგენლობით კმაყოფილნი ვართ და რონალდინიოს შეძენა არ გვსურს“ — განაცხადა გალიანიმ.

კოკი კანდელაკი

დანების ტრიალი რომში



გასულ უქმეებზე „რომამ“ რამდენიმე ლიდერის გარეშე და ძალების დაზოგვით მოუგო „კატანიას“, მაგრამ დედაქალაქურ კლუბს კრიტიკოსები მაინც გამოუჩნდნენ, განსაკუთრებით კი ლუდოვიკ ჟიულისა და მირკო ვუჩინიჩს — ბოლომდე არ იხარჯებოდნენო.

„გრძელ და ძალიან დატვირთულ სეზონში გასაკვირი არცაა, რომ ფეხბურთელები ყველა მატჩში 100 პროცენტით არ და ვერ დაიხარჯებიან, ეს ლოგიკური და ბუნებრივია. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ ვუჩინიჩზე ყველა აღფრთოვანებით ლაპარაკობდა — თავს იკლავს, ისე თამაშობსო. ახლა კი იგივე ხალხი აკრიტიკებს მას. თუ გვსურს, რომ „ინტერის“ დარ გუნდს გავუწიოთ სერიოზული კონკურენცია, სხვანაირი სტილით უნდა ვითამაშოთ“ — აღნიშნა „რომას“ თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ.

ოპტიმისტურადაა განწყობილი „ჯალოროსის“ 24 წლის ნახევარმცველი დანიელე დე როსიც. მან თავის ახალ კონტრაქტზეც ისაუბრა და განაცხადა, შეთანხმების მიღწევა პრობლემა არ იქნება, ცხადია, „რომაში“ მინდა დარჩენაო.

„დარწმუნებული ვარ, არანაირი პრობლემა არ იქნება — დარჩენა მინდა, კლუბს კი ჩემი შენარჩუნება. მარჩელო ლიპიმ თქვა, რომ ისეთივე ძლიერი ვარ ჩემს პოზიციაზე, როგორც სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რადგან იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. თუმცა ახლა მხოლოდ „რომაზე“ და მიმდინარე სეზონზე ვფიქრობ. „ინტერის“ დევნას ვაგრძელებთ და ჩემპიონობის იმედს ბოლომდე დავიტოვებთ. ეს ჩემპიონატი წინას რაღაცით მართლაც წაგავს, მაგრამ ახლა „ნერაძური“ ისეთი დიდი სხვაობით ვერარ გვისწრებს. ჯერჯერობით მხოლოდ ორ შეხვედრაში ვითამაშეთ ცუდად — შინ „ინტერთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ — თქვა დე როსიმ.

წინა სეზონში „კატანიამ“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ 0:7 წააგო და სიცილიელთა მწვრთნელი სილვიო ბალდინი იმითაც კამყოფილია, რომ მისი გუნდი ამჯერად მოკრძალებული ანგარიშით დამარცხდა.

„რომში წასაგებად არ ჩავსულვართ, მაგრამ ფაქტია, რომ „რომა“ ბრწყინვალე გუნდია. როცა მათ ბურთი აქვთ, „ჯალოროსი“ ევროპაში საუკეთესოა. საბედნიეროდ, ფრანჩესკო ტოტიმ ჩვენს წინააღმდეგ ვერ ითამაშა. ჯენარო სარდოსა და ჯუზეპე მასკარას გატანაც კი შეეძლოთ, მაგრამ მერე შეცდომა დავუშვით და ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა — 0:2-ზე შანსი აღარ გვქონდა“ — განმარტა ბალდინიმ.

სამწუხაროდ, მატჩამდე სიცილიელ და რომაელ ქომაგებს შორის ჩხუბი მოხდა, რომელშიდაც „კატანიას“ სამი ქომაგი დაიჭრა და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამან ძალიან გააბრაზა „ელეფანტის“ პრეზიდენტი ანტონიო პულვირენტი.

„რომი ბრძოლის ველს დაემსგავსა და არამარტო ჩვენი ქომაგებისთვის. ეს უბრალო ფაქტი არ არის და ყურადღების მიქცევა სჭირდება. ჩვენს ქომაგებს დანებით დაესხნენ თავს, ასეთი რამ წინა წელსაც მოხდა და სხვა გუნდის ფანებსაც გამოუცდიათ საკუთარ თავზე“ — განაცხადა პულვირენტიმ.

ეს მართალაც არ არის პირველი შემთხვევა, როცა „რომას“ ულტრასები ასე იქცევიან და შესაძლოა, კლუბი რამდენიმე მატჩის უმყურებლოდ ჩატარებით დასაჯონ.

კოკი კანდელაკი

ბიჭი და სიმულანტი მუტუ

ფლორენციის „ფიორენტინა“ ნელ-ნელა პოზიციებს იბრუნებს. შაბათს „იებმა“ შინ „ტორინოს“ მოუგეს 2:1 და ოთხეულში დაბრუნდნენ. თუმცა ჩეზარე პრანდელის შეგირდებმა ორივე გოლი პენალტით გაიტანეს, რომელთაგანაც დასანიშნი ალბათ არც ერთი იყო. ორივე მათგანი ეშმაკმა ადრიან მუტუმ მოიპოვა. მოგეხსენებათ, რუმინელს კარგად ეხერხება ჭკვიანურად, სასარგებლოდ და არტისტულად თამაში.

გიორგი შკინინმა შარშანდელი სეზონი საფრანგეთის ჩემპიონატის მესამედივიზიონელ „ბლუაში“ ჩაამთავრა. მსოფლიოს თასის შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ უკეთეს კლუბში მოეწყობოდა და „ბლუასთან“ კონტრაქტი აღარ გაახანგრძლივა. თანაც „ლელოების“ მელელოვეს უამბიციო „ბლუას“ პირობები არ აკმაყოფილებდა. შკინინს მართლაც ჰქონდა უკეთესი ვარიანტები, მაგრამ ფრანგი აგენტის „მადის“ გამო ტრანსფერები ჩაიშალა. ქართველი მორაგბე იძულებული შეიქნა, თბილისში დაბრუნებულიყო და ინდივიდუალურად ევარჯიშა. „ყველაფერი ახალი წლის შემდეგ უნდა გაირკვეს. არ გამოვრიცხავ, რომ საფრანგეთში დავბრუნდე, ან რომელიმე წარმატებულ რუმინულ კლუბში გადავიდე“ — გვითხრა შარშან დეკემბერში შკინინმა. ახლა კი გაირკვა, რომ გიორგის ისევ გალეგიონერება მინიმუმ გაზაფხულამდე გადაიდო.

„რეალური წინადადება აღარ მიმიღია. გაურკვევლობაში ყოფნას და ვარაუდით სადმე წასვლას აქ დარჩენა და თამაში სჯობს. თანაც ნაკრების წევრი ვარ და სათამაშო პრაქტიკა მჭირდება“ — გვითხრა გუშინ გიორგი შკინინმა.

და სად გააგრძელებს კარიერას შარშანდელი მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეშხიანი მოთამაშე? სად და თბილისის „ხულიგანში“, სადაც გაიზარდა კიდეც გიორგი შკინინი.

„ხულიგანა“ შარშან უფულობის გამო დაიშალა. კლუბის აღზრდილები სხვადასხვა განდებში გადანაწილდნენ. ახლა „ხულიგნები“ ისევ იკრიბებიან და სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშებენ. გამორიცხული არაა, საქართველოს რაგბის კავშირმა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაზარდოს და „ხულიგანამ“ ქართული საკლუბო რაგბის ელიტაშიც ითამაშოს.

ბაჩო სვანიძე

საქართველოს თასი. 21-24 იანვარი
თბილისი. სპორტის სასახლე

50 შერმადინური
მაკაბის მოგება ნაკლებად აღელვებს

თსუ 81:68 ვითა

16:22 24:17 19:14 25:15

თსუ: არწივიძე (15), ფანჩულიძე (23), ბარბაქაძე (11), კეიდია (10), ყველაშვილი (2); ტყეშელაშვილი (13), დ. ბერიშვილი (4), ხიზანიშვილი (2), ივანეიშვილი (1)

ვითა: ძიძიგური (2), ნ. ნოზაძე (16), მარხვაშვილი (17), მარკოიშვილი (17), ბეჟანიშვილი (9); გასიტაშვილი (4), ცერცვაძე (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

მაკაბი 92:97 დინამო

20:25 23:22 22:36 27:14

მაკაბი: ი. ბერიშვილი (3), პირველაშვილი (10), ვაშაკიძე, ს. შერმადინი (15), გ. შერმადინი (50); სორდია (8), კორკოტაძე (6)

დინამო: ჟლენტი (21), გულისაბედაშვილი (10), ლაფანაშვილი (26), მაისურაძე (5), ათანელაშვილი (10); ახალკაცი (16), სიგუა (9), ფაიქრიძე, ნანიტაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ტრავმებმა ისე დაასუსტა „ვითა", რომ „ენერჯი-ინვესტთან" განადგურების შემდეგ თსუ-ს დამარცხებაც კი ვერ შეძლო. საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი თასისთვის ბრძოლას რუსთაველებთან მარცხით ფაქტობრივად გამოეთიშა, თუმც თსუ-სთან შეხვედრას მისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვემოქართლელებთან 50 ქულით წაგება შემთხვევითობა იყო. თუმცა „ვითამ" სტუდენტებთანაც წააგო და ის დაამტკიცა, რომ რეზერვი არ ჰყავს.

ყველა ამბიციურ გუნდს ჰყავს სათადარიგოები, რომლებიც ტრავმების შემთხვევაში ძალების ასე თუ ისე დაბალანსებას ახერხებენ. 3-4 დაშავებული კი დაასუსტებს, ვთქვათ, „ენერჯი-ინვესტს", ან „ავიამშენს", მაგრამ არც ისე, რომ გუნდი აბსოლუტურმა უიმედობამ მოიცვას.

„ვითას" დაუშავდა რამდენიმე მოთამაშე და აუტსაიდერად გადაიქცა. ზურაბ ტომარაძის გუნდი გუშინ თსუ-სთანაც უშანსოდ დამარცხდა. მართალია, პირველ ტაიმში 10 ქულასაც იგებდა, მაგრამ მერე ჩამორჩა და ბოლო მეოთხედი ისე გაილია, თამაშის მოგების შანსი არც მისცემია.

ტომარაძის შეგირდებმა უცენტროდ დაიწყეს თამაში და თავიდანვე რომ არ გაიწირნენ, უკანახაზელების ჩუბინობას უნდა უმადლოდნენ. გიორგი მარკოიშვილი, ნიკა ნოზაძე და გიორგი მარხვაშვილი მარჯვედ ესროდნენ სამქულიანებს და „ვითაც" პირველი მეოთხედის მიწურულს 22:11 დაწინაურდა.

თსუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა ფარქვეშ მეოხი გიორგი ყველაშვილი მოედნიდან გაიხმო და შედარებით მოძრავი ხუთეული დააყენა. დავით არწივაძემ, მიხეილ ფანჩულიძემ და დავით ბარბაქაძემ პერიმეტრიც გადაკეტეს და „ვითას" იქით მიეძალნენ სამქულიანებით. სწრაფ თამაშში თსუ თავს რომ კარგად გრძნობს, ერთხელაც დამტკიცდა. ჭეიშვილის გუნდმა პირველი ტაიმის მიწურულს თამაში გაათანაბრა და მეორეში ხელი იოლად მოუთავა შესუსტებულ „ვითას".

მეორე მატჩი საინტერესო იმით იყო, რომ ერთმანეთს შედარებით ტოლძალოვანი გუნდები ხვდებოდნენ, თორემ ფინალში გასვლის შანსი რომ არც „მაკაბის" აქვს და არც „დინამოს", ამას თქმაც არ უნდა. ჰოდა, თანაბარი ბრძოლაც გაჩაღდა, რომელიც „დინამოს" 5-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა. თუმცა წაგებით უკმაყოფილო არ დარჩენილა „მაკაბის" თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილი. მისი გუნდის ლიდერმა გიორგი შერმადინმა თასის გათამაშების რეკორდი დაამყარა — 50 ქულა აქამდე ამ ტურნირში არავის დაუგროვებია.

შერმადინმა 25 ორქულიანიდან 19 ჩააგდო, რასაც 2 სამიანი და 6 საჯარიმოც მიაბა. ამასთან, მის ანგარიშზე 14 მოხსნაც იყო, რაც მის სტატისტიკას დამატებით ეშხს ჰმატებს.

ჯგუფური ეტაპი დღეს დამთავრდება. „ენერჯი-ინვესტი" თსუ-ს შეხვდება, ხოლო „ავიამშენი" — „მაკაბის" და როგორც ჩანს, აქაც იგივე ფინალი იქნება, რაც გასულ პარასკევს გასრულებულ ქორქიასაკანდელიძის მემორიალზე.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

21 იანვარი

ატლანტა 109:111 პორტლენდი
ძირითადი დრო 100:100

ატლანტა: ლოუ (7), ჯ. ჯონსონი (37), მ. უილიამსი (11), სმიტი (17 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი), ჰორფორდი (7 ქულა, 11 მოხსნა); ლუ (18), ჩილდრესი (11), ფაჩულია (9 წუთი, 1 ქულა), ვესტი

პორტლენდი: ბლეიკი (7), როი (18), ვებსტერი (9), ოლდრიჯი (8), პრუიბილა (7); აუთლოო (23), როდრიგესი (16), ჯონსი (10), ფრაი (9), ჯეკი (2)

ლეიკერსი 116:99 დენვერი

ლეიკერსი: ფიშერი (28), ფარმარი (19), ბრაიანტი (17 ქულა, 11 პასი)

დენვერი: აივერსონი (24), კლეიზა (21)

ორლანდო 102:100 დეტროიტი

ორლანდო: თურქოღლუ (26), ჰოვარდი (23)

დეტროიტი: ჰამილტონი (21), პრინსი (20)

მაიამი 90:97 კლივლენდი

მაიამი: ვეიდი (42), ონილი (10)

კლივლენდი: ჯეიმსი (28)

ვაშინგტონი 102:84 დალასი

ვაშინგტონი: ბატლერი (25), ჯემისონი (23)

დალასი: ჰოვარდი (32), ნოვიცკი (21 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

გოლდენ სტეიტი 108:109 მინესოტა

გოლდენ სტეიტი: ელისი (28), ბარნსი (20)

მინესოტა: გომესი (35), ჯეფერსონი (21)

შარლოტი 86:95 სან ანტონიო

შარლოტი: ოკაფორი (21), ვოლესი (15)

სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ჯინობილი (16), პარკერი (16)

ნიუ იორკი 93:109 ბოსტონი

ნიუ იორკი: რენდოლფი (24), ჯოუფორდი (22)

ბოსტონი: პერკინსი (24), გარნეტი (20 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ალენი (17)

ფილადელფია 103:110 ინდიანა

ფილადელფია: იგუდალა (23), მილერი (21)

ინდიანა: რაში (25), დანლივი (24)

ჰიუსტონი 96:89 სიეტლი

ჰიუსტონი: მინი (30 ქულა, 17 მოხსნა)

სიეტლი: შჩერბიაკი (15), გრინი (15)

კლიპერსი 93:109 იუტა

კლიპერსი: მაგეტი (23)

იუტა: უილიამსი (18 ქულა, 13 პასი)

ნიუ ორლეანი 106:92 მილუოკი

ნიუ ორლეანი: ჩანდლერი (20 ქულა, 15 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (18), პოლი (16 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

მილუოკი: რედი (19), ვილანუევა (18)

მემფისი 104:90 ჩიკაგო

მემფისი: მალერი (24), გაი (24)

ჩიკაგო: გორდონი (25), ნოჩიონი (16)

აღმოსავლეთი					დასავლეთი			
ატლანტიკა					**სამხრეთ-დასავლეთი**			
ბოსტონი	33	6	84,6		ნიუ ორლეანი	28	12	70,0
ტორონტო	22	19	53,7		დალასი	27	13	67,5
ნიუ ჯერსი	18	22	45,0		სან ანტონიო	26	13	66,7
ფილადელფია	16	26	38,1		ჰიუსტონი	22	19	53,7
ნიუ იორკი	13	28	31,7		მემფისი	12	29	29,3
ცენტრალური					**ჩრდილო-დასავლეთი**			
დეტროიტი	29	13	69,0		პორტლენდი	25	16	61,0
კლივლენდი	22	18	55,0		დენვერი	24	16	60,0
ინდიანა	19	23	45,2		იუტა	24	18	57,1
ჩიკაგო	16	24	40,0		სიეტლი	9	32	22,0
მილუოკი	16	25	39,0		მინესოტა	6	34	15,0
სამხრეთ-აღმოსავლეთი					**წყნარი ოკეანე**			
ორლანდო	26	17	60,5		ფინიქსი	29	12	70,7
ვაშინგტონი	22	17	56,4		ლეიკერსი	27	12	69,2
ატლანტა	17	20	45,9		გოლდენ სტეიტი	25	18	58,1
შარლოტი	16	25	39,0		საკრამენტო	17	22	43,6
მაიამი	8	32	20,0		კლიპერსი	12	25	32,4

აუთლოომ ატლანტა გაჯერა



ატლანტელები ბოლო დროს ტრაბახს დაეჩვივნენ — მოვღონიერდით და ისეთებს ვუგებთ, ვისთვისაც 3-4 წელია, არ მოგვიგიაო. მართლებიც არიან, მაგრამ ამ ორშაბათს „პორტლენდს" ვეღარ გაუსტუმრეს ვალი. ეს გუნდი 2002 წლის შემდეგ ვერ დაემარცხებინათ შინაურ კედლებში.

ახლა „ატლანტას" ძველი თამასუქის დახევის კარგი შანსი მიეცა, პორტლენდელების ლიდერებს შეთანხმებულებივით ერთად აუჭრელდათ თვალები და დამწყები ხუთეულიდან ბრენდან როის გარდა ვერავინ შეძლო თუნდაც 10 ქულის გაკეთება. მაგრამ სტუმართა ყოვლისშემძლე მწვრთნელმა ნეიტ მაკმილანმა ამ რთული სიტუაციიდანაც გამოიყვანა გუნდი. „ატლანტა" პირველი მეოთხედის შემდეგ 9 ქულით იგებდა, მაგრამ მაკმილანმა რეზერვისტები მომართა და თამაშიც მათი მეცადინეობით იხსნა. სტუმართა სკამმა აჯობა მასპინძელთა სამარქაფოებსაც და ძირითადებსაც. ისე, „ატლანტას" სამარქაფოებში გამოჩნდა ჩვენებური ზაზა ფაჩულიაც, რომელსაც ფეხის თითის ტრავმის გამო ხუთი თამაში გაუცდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ მის მოწინააღმდეგეებს, რომელთა შორის ტრევის აუთლოომ გაიელვა. ის იმდენად ზუსტად ისროდა, რომ ოვერტაიმში ბოლო წამებზე მაკმილანმა მას მიანდო გადამწყვეტი როლი. აუთლოომაც ყველაფერი იდეალურად შეასრულა — საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე ბურთი პერიმეტრს-გარეთ მიიღო, ცრუმოძრაობებით დააბნია მეურვე და განთქმული დამფარებელი ჯოშ სმიტი, ცოტა შიგნით შეიწია და ექვსიოდ მეტრიდან ტყორცნა მკვლელი ორქულიანი.

„ატლანტასთვის" ეს მარცხი ზედიზედ მესამე იყო, თუმც ფაჩულიას გუნდი მაინც ინარჩუნებს სუსტ აღმოსავლეთში საპატიო მეშვიდე ადგილს. „პორტლენდმა" კი კონკურენტი „დენვერის" მარცხით ისარგებლა და ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში ლიდერობა დაიბრუნა. „დენვერს" კი „ლეიკერსმა" მოუგო, რომლის ლიდერმა კობი ბრაიანტმა მხოლოდ 17 ქულა გააკეთა, მაგრამ სამაგიეროდ გუნდზე ითამაშა, სეზონში სარეკორდოდ ბევრი, 11 პასი გაჩარხა და თანაც „დენვერს" ვარსკვლავი კარმელო ენტონიც დაუმტვრია.

კოტე ყორშია

ინდიანას ჯერმენ ონილი გამოაკლდა

ორშაბათს „ფილადელფიასთან" შეხვედრაში დაიმტვრა „ინდიანა პეისერზის" ცენტრი ჯერმენ ონილი. ექიმებს სადღეისოდ ზუსტი დიაგნოზის დასმა უჭირთ. ონილს მუხლი შესაძლოა ორ კვირაში მოუშუშდეს და არც ისაა გამორიცხული, მთელი სეზონიც გაუცდეს. თავად ონილი ამბობს, მირნევნია ამ სეზონში დავისვენო და თავი საფრთხეში არ ჩავიგდოვო.

ფიგურული ციგურაობა

ელენეს მესამე ევროპა

ხორვატიის მთავარქალაქ ზაგრებში გუშინ დაიწყო და კვირის ბოლომდე გაგრძელდება ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატი. ჩვენთვის მთავარი კი ისაა, რომ ხორვატულ ყინულზე ისრიალებს 17 წლის ქართველი ელენე გედევანიშვილი, ვისთვისაც ეს მესამე ევროპის ჩემპიონატი იქნება. აქვე დავაზუსტოთ, რომ იმავდროულად ეს მესამე სეზონია დიდებში. აქამდე 17 წლის ელენესთვის ყველაზე წარმატებული შარშანწინდელი, მისთვის სადებიუტო სეზონი იყო. მაშინ გედევანიშვილმა ევროპის ჩემპიონატზე სენსაციურად ისრიალა და მე-5 ადგილი დაიკავა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-14, ხოლო ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე მე-10 იყო. შარშან ქართველმა მოციგურავემ შედეგი გაუარესა, ევროპაზე მე-8, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-17 ადგილი დაიკავა, თუმც ამას ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

რუსეთიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია ელენეს ოჯახსაც შეეხო და რაკი საქართველოში სტანდარტული ყინულის მოედანი არ არის, გედევანიშვილი აშშ-ში წავიდა სავარჯიშოდ. ელენეს მწვრთნელებიც შეეცვალა. გალინა ზმიევსკაია და ელენა ვოდორეზოვა ამერიკაში მცხოვრებმა რომან სეროვმა და ქორეოგრაფმა ნიკოლაი მოროზოვმა შეცვალეს. შეიცვალა ელენეს პროგრამაც, რომლის დახვეწასაც ქართველი მოციგურავე შარშან ნოემბერ-დეკემბერში მსოფლიოს გრან პრიზე ცდილობდა. ელენემ ასეთ ორ ტურნირზე ისრიალა და ათეულში სტაბილურად ტრიალებდა.

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატზე ელენე გედევანიშვილი 32 მონაწილეს შორის მე-13 ნომრად არის განთესილი. ჩვენი მოციგურავე ხორვატულ ყინულზე 26 იანვარს გავა და მოკლე პროგრამას შეასრულებს, მომდევნო დღეს კი თავისუფალი პროგრამის ჯერია.

გაჩო სვანიძე

ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $

მაშამ ჟუსტინი გააშავა

კაცები

მეოთხედფინალი

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (24, ფინეთი) 7:5 6:3 6:1; ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) — მიხაილ იუჟნი (14, რუსეთი) 7:5 6:0 7:6

ქალები

მეოთხედფინალი

მარია შარაპოვა (5, რუსეთი) — ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) 6:4 6:0; ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) — სერენა უილიამსი (7, აშშ) 6:3 6:4



თაობათა ბრძოლა შეიძლება ვუწოდოთ გუშინ როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტზე გამართულ ქალთა მეოთხედფინალებს. გამოცდილი, მრავლისმნახველი და არაერთი სასლემო ტიტულების მქონე ჟუსტინ ენინი და სერენა უილიამსი უკვე გავარსკვლავებულ, მაგრამ ჯერაც ნაკლებად ტიტულიან მარია შარაპოვასა და ელენა იანკოვიჩს ხვდებოდნენ. ყველას გასაკვირად, ახალგაზრდებმა პირწმინდა გამარჯვება მოიპოვეს და ავსტრალიიდან თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის პირველი ნომერი და ტურნირის მოქმედი ჩემპიონი დაიფრინეს.

თავიდან კორტზე იანკოვიჩი და უმცროსი უილიამსი გავიდნენ და წესით ამ მატჩის მიმოხილვით უნდა დაგვეწყო, მაგრამ ენინ-შარაპოვას ჯახი მაინც გაცილებით მეტ ყურადღებას იქცევდა. გასული დეკემბერში მადრიდში წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში ნაჩვენები სუპერთამაშის შემდეგ ამ დაპირისპირებას ყველა მოუთმენლად ელოდა, ხოლო წინა წრეებში ორივე მეჩოგნის მიერ ნაჩვენები შთამბეჭდავი თამაშის გამო ბევრი ამ მატჩს ნაადრევ ფინალსაც ეძახდა.

თუმც სანახაობა არ შედგა და ამაში მთავარი „დამნაშავე“ მარია შარაპოვაა. რუსმა პრიმამ იმდენად აგრესიული, ძლიერი და უშეცდომო ჩოგბურთი ითამაშა, რომ ენინმაც კი ვერაფერი დაუპირისპირა. მაშა ოდანავადაც არ შეუშინდა იმას, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგნის წინააღმდეგ უწევდა თამაში, რომ ბელგიელს ზედიზდ 32 მატჩი არ წაეგო და თან პირად შეხვედრებში 2:6-ს აგებდა.

შარაპოვამ თავიდანვე გამალებით შეუტია და მატჩის ბოლომდე არ გაჩერებულა. გასულ დღეებში არაერთხელ თქვეს, მაშა ახლა ზუსტად იმ ფორმაშია, როგორშიც უიმბლდონზე და აშშ-ს ღია პირველობაზე ტრიუმფის დროს იყო. თუმც ეს შეცდომაა, რადგანაც დღეისთვის შარაპოვა, როგორც ჩოგბურთელი, აშკარად გაზრდილია — კორტზე გაცილებით სწრაფად გადაადგილდება, სულ უფრო იშვიათად იღებს ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს და გაცილებით გააზრებულად ჩოგნაობს.

ჰოდა, გუშინ ეს ყველაფერი მთელი ბრწყინვალებით ვიხილეთ, როცა რუსმა ენინისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. ბევრი იტყვის, თავად ბელგიელმა ვერ ითამაშა ჩვეულ დონეზეო, მაგრამ ეს მაინც მცდარი მოსაზრება იქნება — ის, რომ ენინს კორტზე არაფერი გამოსდიოდა, სწორედ მაშას დამსახურება იყო. რუსი პრიმა მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდა, მუდმივად ზეწოლის ქვეშ ჰყავდა ბელგიელი და მასაც ძირითადად თავის დაცვა უწევდა. მხოლოდ პირველი სეტის მიწურულს შეძლო ბელგიელმა თამაშის მეტ-ნაკლებად გათანაბრება, მაგრამ სლავმა მაინც არ მისცა წელში გასწორების საშუალება და თავისი გაიტანა. მეორე პარტიაში კი შარაპოვამ კიდევ უფრო უმატა აგრესიას და ენინს გეიმიც არ აღებინა, რითაც ზედიზედ მეოთხედ გავიდა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში.

„ეს ალბათ ყველაზე სრულყოფილი მატჩი იყო, რაც კარიერაში ჩამიტარებია“ — განაცხადა ნამატჩევს გამარჯვებულმა.

შარაპოვას სუპერჩოგნაობამ ნაწილობრივ დაჩრდილა იანკოვიჩის გამოსვლა, მაგრამ გუშინ სერბმაც დიდებულად ითამაშა. ბალკანელმა პირწმინდად დაჩაგრა უმცროსი უილიამსი და დამსახურებულად იმარჯვა.

სერენამ კი ბევრი რამ თავის თავს დააბრალოს — ამერიკელს მომატებული წონის გამო კორტზე გადაადგილება აშკარად უჭირდა და იანკოვიჩმა ამით მშვენივრად ისარგებლა. თან სერბის შტაბმა უმცროსი შავდის თამაშში სუსტ წერტილს მიაგნო — ელენას როგორც კი შანსი ეძლეოდა, მაშინვე ბექჰენდზე უგდებდა ბურთს მეტოქეს და სერენაც უმეტესად ამ კომპონენტის შესრულებისას ცდებოდა.

ქალთა მეოთხედფინალების ფონზე ძალიან უფერული გამოდგა კაცთა შეხვედრები — რაფაელ ნადალმაც და ჟო-ვილფრედ ცონგამაც ძალიან დამაჯერებლად იხეირეს.

ამ ორიდან ჩვენ ფრანგის წარმატება გამოვყოთ, რომელმაც ფავორიტთა გამამწარებლის სახელი დაიგდო — ჯერ ენდი მიურეი მიჩოგნა, მერე თანამემამულე რიშარ გასკეც არ დაინდო და აგერ, გუშინ იუჟნისაც გაუმკლავდა. გალმა განსაკუთრებით კარგად საკუთარ მოწოდებაზე ითამაშა და რუსს ბრეიკის გაკეთების კინკილა შანსიც არ მისცა, თვითონ კი ოთხჯერ „გატეხა“ იგი და კარიერაში სლემტურნირის ნახევარფინალს პირველად უწია.

ნადალმა კი ისე წყნარად და აუღელვებლად მოუგო იარკო ნიემინენს, რომ გეგონებოდათ, სასლემო მეოთხედფინალს კი არ თამაშობს, კორტზე სავარჯიშოდ გასულაო. ესპანელს ოდნავადაც არ უჩქარია და არც სირბილით მოუკლავს თავი — მშვიდად დაელოდა მეტოქის შეცდომებს და ყველა ასი პროცენტით გამოიყენა.

ნადალი პირველად გავიდა ჰარდსაფარიანი სლემტურნირის ნახევაფინალში. გარდა ამისა, მალიორკელი მხოლოდ მეოთხე ესპანელია, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის საუკეთესო ოთხეულში მოხვდა. აქამდე იგივე მხოლოდ კარლოს ხიმენოს, კარლოს მოიასა და ხუან-კარლოს ფერეროს გაეკეთებინათ.

ქაჯა ლომაჯვილი

ჩაგაევმა ტიტული დაიცვა

ძალიან გაუჭირდა ტიტულის დაცვა უმძიმეს წონაში WBA-ს ვერსიით ჩემპიონ რუსლან ჩაგაევს. ამ უქმეებზე უზბეკი გერმანულ დიუსელდორფში 40 წლის ბრიტანელ მეტ სკელტონს ხვდებოდა და რის ვაი-ვაგლახით იმარჯვა.

თავიდან ბრიტანელმა უფრო აქტიურად დაიწყო და შეტევაშიც გადავიდა — სკელტონი ახლო ბრძოლის გაჩაღებას ცდილობდა, საღაც პირდაპირი დარტყმები საკმაოდ კარგად გამოსდიოდა და საწყის რაუნდებში ჩემპიონს ერთი-ორი გვარიანადაც შემოარტყა. ჩაგაევი კი მხოლოდ კონტრშეტევებით პასუხობდა მეტოქის აქტიურობას.

თუმც დაახლებით მეოთხე რაუნდიდან უზბეკმა ალღო აუღო ბრიტანელის ტაქტიკას და ინიციატივა თავად იგდო ხელთ. სკელტონი წინ მაინც ჯიუტად მიიწევდა, რასაც ჩაგაევმა რამდენიმე ძალიან მტკივნეული ჰუკით უპასუხა და ბრიტანელი მაგრადაც გაამწარა.

ბრძოლის მიმდინარეობა არც ბოლო რაუნდებში შეცვლილა — სკელტონი ისევ ახლო ბოღრაობაში ეძებდა თავის შანსს, მაგრამ ხეირიანს ვერაფერს გამორჩა. თან ორივე მოკრივეს დაღლა დაეტყო, თუმც ჩაგაევს იმდენი ძალა კი შერჩა, რომ დარტყმების იმიტაცია მაინც მოეხდინა. მართალია, ამ დარტყმებით ქამრის პრეტენდენტს ბევრს ვერაფერს აკლებდა, მაგრამ ქულებს კი აგროვებდა. საბოლოოდ ამან შედეგიც გამოიღო და სამივე მსაჯმა გამარჯვება უზბეკს მიაკუთვნა.

ბუნებამ კარამზინი დაანოკუატა

კვირას ლეგენდარულ „მედისონ სქვერ გარდენში“ გვარიანად გაილახა პირველ საშუალო წონაში ექსჩემპიონი რომან კარამზინი. რუსის ცოდვა კონგოელმა ალექს ბუნემამ დაიდო.

არადა, სლავმა უკეთ დაიწყო და აფრიკელი მაგრადაც შეავიწროვა. ეგაა, კარამზინი, ძალები რომ შეენახა, მუშტების ინტენსიური ქნევის მაგივრად იშვიათი, მაგრამ ზუსტი დარტყმების გატარებას ცდილობდა. შედეგად, ექსჩემპიონი სულ მალე პასიური გახდა და უპირატესობაც ბუნემას ხელში გადავიდა, რომელმაც თავისი შანსი უკეთ გამოიყენა.

მეათე რაუნდში აფრიკელმა ისე შემოსცხო მარცხნიდან მეტოქეს, რომ ის მაშინვე ჩაიკეცა. რუსი კი წამოდგა, მაგრამ ბუნემამ მალე ისევ ძირს დაავდო. კარამზინი კიდევ შეეცადა ადგომას, მაგრამ ამის მაგივრად თოკებს დაეკიდა და კინაღამ რინგიდან გადავარდა. მსაჯს თვლაც კი არ დაუწყია და აფრიკელს ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

გოლოტა ცალი თვალითაც მაგარია



გმირულად მოიგო თავისი ბრძოლა ცნობილმა პოლონელმა მძიმეწონოსანმა ანჟეი გოლოტამ. სლავს მაგრად მოხვდა ამერიკელი მაიკ მოლოსგან და საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ ყველაფერს გაუძლო და გამძლეობისთვის გამარჯვებითაც დასაჩუქრდა.

ამერიკელი პირველი წუთებიდანვე გიჟივით გავარდა შეტევაში, რასაც გოლოტა წყნარად შეხვდა და თავისი გაბარიტების გამოყენებით შეეცადა უპირატესობის მოპოვებას. იანკი კი თავის ტაქტიკას არ ღალატობდა და მეტოქეს აქტიურად უტევდა — მისი რამდენიმე დარტყმა პოლონელს მწარედ მოხვდა, რის გამოც მეექვსე რაუნდისთვის მარცხენა თვალი ისე დაუსივდა, რომ ფაქტობრივად ვეღარაფერს ხედავდა. თუმც გოლოტამ ბრძოლა ცალი თვალითაც მიიყვანა გამარჯვებამდე. რადგან ამერიკელი დაიღალა და ბოლო რაუნდებში ფეხზე ძლივსღა იდგა. პოლონელმა კი გული მოიოხა და მოლოს ბლომად ურტყა. ამერიკელმა მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ბრძოლის ბოლომდე ფეხზე გაძლო და ნოკაუტით არ დამარცხდა. გამარჯვება სამივე მსაჯმა გოლოტას მისცა.

ქაჯა ლომაჯვილი

კალაშნიკოვას ცუდი გერმანული

წარუმატებლად დაიწყო ახალი სეზონი ოქსანა კალაშნიკოვამ. წინა კვირაში მან გერმანული შტუტგარტის ჰარდზე ITF-ის ეგიდით გამართული ტურნირის საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია და იგივე გამეორდა ახლაც, მეორე გერმანული ქალაქის, კაარსტის ჭერქვეშა ხალიჩაზე, ასევე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე.

ოქსანა საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე შეხვედრაში დამარცხდა რანგით მასზე დაბლა, რეიტინგის 838-ე პოზიციაზე მყოფ ჩეხ პავლა სვიდოვასთან. არადა, ჩვენებურმა პირველი სეტი 6:0 მოიგო, მაგრამ შემდეგ უპირატესობას ჩეხი დაეუფლა და შეხვედრაც მისი გამარჯვებით — 0:6 6:2 7:6 დასრულდა.

ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲕᲚᲐᲕᲗᲘᲡᲬᲕᲔᲜᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

26-27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა უპრეცედენტო მასშტაბის ტურნირი გაიმართება. მოგეხსენებათ, შეჯიბრებას „თბილისის მსოფლიოს თასი“ ჰქვია და ტრადიციულ ფორმას ატარებს. ტურნირზე ბრაზილიის გარდა, მსოფლიოს ყველა უძლიერესი ნაკრები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვა. ქართველი გულშემატკივარი ტატამზე არაერთ ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორებს იხილავს. მონაწილეთა რაოდენობა სარეკორდოა, სულ 41 ქვეყანა და 400-მდე მოჭიდავე ეწვევა ჩვენს დედაქალაქს. იაპონია, საფრანგეთი, რუსეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, კუბა... მოკლედ, თიქთმის მსოფლიოს ჩემპიონატის დარი შეჯიბრი გველის.

საქართველოს ნაკრები დაკომპლექტებულია საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით. თითო წონაში ოთხ-ოთხი მოჭიდავე გვეყოლება. თბილისის მსოფლიოს თასზე ჩვენი მენაკრებეები შეეცდებიან, ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების მოპოვებას 66 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში. დანარჩენ წონებში ბრაზილიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოვიპოვეთ ლიცენზიები. იმასაც გეტყვით, რომ ლიცენზიების რაოდენობით, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიმყოფებით და სავარაუდოდ, ამ ტურნირზე დარჩენილ ორ წონაშიც გავინაღდებთ პეკინის საგზურს.

გუშინ მომავალ ტურნირთან დაკავშირებით, სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა, ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა, ტურნირის დირექტორმა სიმონ ნოზაძემ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ისაუბრეს...

დილარ ხაბულიანი: თბილისის მსოფლიოს თასი საქართველოში ერთადერთი ტურნირია, რომელიც ოლიმპიური ლიცენზიებისთვის საჭირო ქულებს იძლევა. ამიტომ მასშტაბებიც დიდია. ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა ჩამოდის და მათ სათანადო გამასპინძლება სჭირდებათ, რაშიც ძალიან დაგვეხმარა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და თბილისის მერია.

დავით ნამგალაური: მინდა მოგახსენოთ, რომ ტურნირის სოლიდურობასთან ერთად სახელმწიფოს ინტერესიც დიდია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა შეჯიბრებამ მაღალ დონეზე ჩაიაროს. ვიცი, ჩვენი ბიჭები კარგად მომზადებულები არიან და ვიმედოვნებ, რომ დარჩენილ ორ წონაშიც მოვიპოვებთ ლიცენზიას.

გია ნაცვლიშვილი: ჩვენი ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატს არაფრით ჩამოუვარდება. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოში მოქმედი სულ 8-9 ოლიმპიური ჩემპიონია და აქედან 4 თბილისში იჭიდავებს. ვფიქრობ, თავისი დონით „თბილისის მსოფლიოს თასი“ ევროპის ჩემპიონატსაც კი სჯობია, რადგან ევროპის ყველა საუკეთესო ნაკრებს ისეთი გუნდი ემატება, როგორიცაა მაგალითად იაპონიის ნაკრები, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვებზე.

შოთა ხაბარელი: კარგი შეკრებები გავიარეთ. ოპტიმალურ ფორმაში ვიმყოფებით და მზად ვართ საბრძოლველად. ჩვენი ყველა პირველი ნომერი იჭიდავებს და ვიმედოვნებ, რომ უმაღლეს შედეგებს მივაღწევთ.

სიმონ ნოზაძე: რაც შეეხება საორგანიზაციო საკითხებს, ყველაფერი ამ მხრივაც უპრეცედენტოა. გუნდები განთავსდებიან თბილისის 12 სასტუმროში და ჩვენ მათ სატრანსპორტო საშუალებებითაც უზრუნველვყოფთ. ყველა ნაკრებზე მიმაგრებულია თითო თარჯიმანი. ასევე სპორტის სასახლეში მოხსნილია გათბობის პრობლემაც, რასაც წინა წლებში ხშირად შევუწუხებივართ. ტემპერატურა 23-25 გრადუსი იქნება. ბილეთის ფასი სიმბოლურია — 2 ლარი. ვიმედოვნებთ, რომ გულშემატკივარი მრავლად მოგროვდება.

თბილისში ჩამოდის 15 ქვეყნის 32 მსაჯი, რომელთაგან ექვსი პეკინის ოლიმპიადაზე იმსაჯებს. დაბოლოს, იმ ტიტულიან მოჭიდავეთა საგანაცხადო ნუსხასაც შემოგთავაზებთ, ვისაც მალე სპორტის სასახლეში ცოცხლად ვიხილავთ.

ოლიმპიური ჩემპიონები: მასატო უჩიშიბა (იაპონია), ილიას ილიადისი (საბერძნეთი), ზურაბ ზვიადაური (საქართველო), იჰარ მაკარაუ (ბელორუსი).

მსოფლიოს ჩემპიონები: კრეიგ ფალონი (დიდი ბრიტანეთი), აკოშ ბრაუნი (უნგრეთი), რუბენ ჰუკსი და ვან დერ გეესტი (ორივე ჰოლანდია), ირაკლი ცირეკიძე (საქართველო).

ევროპის ჩემპიონები: ივან პერშინი (რუსეთი), ენალ მამადლი (აზერბაიჯანი), ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა), სალამუ მეჯიდოვი (რუსეთი), არიელ ზეევი (ისრაელი), ზაზა კედელაშვილი (საქართველო).

ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების პრიზიორები: მეჰმან აზიზოვი (აზერბაიჯანი), რომან გონტიუკი და ვიტალი ბუბონი (ორივე უკრაინა), იოჰეი ტაკაი (იაპონია), რობერტო მელონი (იტალია), გეორგ გეორგიევი (ბულგარეთი), ტომაშ ადამეცი (პოლონეთი), ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი), იორდანი არენსიბია და დორეიდის დესპაინი (ორივე კუბა), იოზეფ კრნეჩი (სლოვაკეთი), პეტერ კუზინსი (დიდი ბრიტანეთი), ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი (ორივე საქართველო), ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი), კონსტანტინ სიომინაუ (ბელარუსი), ბენჟამინ დარბლეტი და ფრედერიკ დემონფუკო (ორივე საფრანგეთი), გალ იეკუტიელი (ისრაელი), რუსლან გასიმოვი (რუსეთი), სერგეი აშვანდენი (შვეიცარია).

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲖᲠᲘᲐᲣᲚᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲬᲘᲜ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲐ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ დედაქალაქიდან დაბრუნდნენ ქართველი წყალში მხტომელები, ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი. მადრიდის გრანპრიზე, რომელშიც 23 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭანტურია 24-ე, ხოლო კორახაშვილი 28-ე იყო. მათთვის წარმატებული ვერც კოშკიდან სინქრონული ხტომები გამოდგა — 13 წყვილს შორის ბოლო ადგილი დაიკავეს.

ქართველთა ესპანურ გამოსვლასა და სამომავლო გეგმებზე საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐᲛ** გვიამბო: მადრიდში ახალი პროგრამით გამოვედით და ნახტომის შესრულების ხარისხით კმაყოფილი ვარ, დაბალი ადგილები კი იმან განაპირობა, რომ ჭოლა ჭანტურიამ 6-დან 3 ნახტომი ჩაგდო, 324 ქულა მოაგროვა, არადა, მეტი შეეძლო. მას თავისი შესაძლებლობების 80 პროცენტი რომ გამოეყენა, 360 ქულას დააგროვებდა და ბლომად სალიცენზიო ქულებს მოიპოვებდა. ისიც ვთქვათ, რომ ესპანეთში მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები გამოდიოდნენ, გარდა ამერიკელებისა. რაც შეეხება შოთა კორახაშვილს, ის სპეციალისტებს ძალიან მოეწონათ. ჯერ ახალგაზრდა ბიჭია, მას პატარებში კიდევ ორი წელი უწევს გამოსვლა და ევროპაზე ხუთეულში, მსოფლიოზე კი რვეულში შესვლა ძალუძს. სინქრონულში წარუმატებლობაზე კი საკმაოდ სერიოზული საუბარი გვქონდა მათთან, რადგან სათანადოდ ვერ შეასრულეს ნახტომები. ახლა ჩინეთში გასამართ სალიცენზიო ტურნირისთვის ვემზადებით, რომელიც 15-25 თებერვალს გაიმართება და იქიდანვე მეორე ჩინურ ქალაქ შანჟენში გადავინაცვლებთ მსოფლიოს თასზე.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲨᲐᲰᲘ ᲖᲚᲕᲐ ᲓᲝᲜᲔᲨᲘ ᲘᲙᲚᲔᲑᲡ

ᲬᲚᲘᲡ პირველი სუპერტურნირის, იანვრის ბაშოს დასრულებამდე ხუთი დღე და ამდენივე ბრძოლა კი დარჩა, მაგრამ ჩვენმა პროფესიონალმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ, იგივე კოკაიმ, ანუ შავმა ზღვამ. იმპერატორის თასისთვის ბრძოლის თეორიული შანსიც დაკარგა.

გუშინ კოკაიმ ზედიზედ მეორედ წააგო. ამჯერად უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერთან ფუტენოსთან. ლევან ცაგურიას ახლა ექვსი მოგება და ოთხი მარცხი აქვს. ქართველი პროფესიონალი სუმოისტი ახლა უმაღლესი დივიზიონის 32 გოლიათს შორის მე-12 ადგილზეა. დივიზიონს კი 9 მოგებით და ერთი წაგებით მონღოლი იოკოძუნები ასასორიუ და ჰაკუხო და რიგითი, მე-10 მაეგაშირა კიოკუტენხო ლიდერობენ. სხვათა შორის, 5 სუპერტურნირის მომგები ჰაკუხო გუშინდლამდე დაუმარცხებელი იყო. გუშინ კი როგორც იქნა სეკვაკე ამასთან დამარცხდა და მოგებათა სერია შეწყვიტა.

რანგით მეორე დივიზიონში, ძურიოში კვლავ მოიგო 20 წლის ლევან გორგაძემ, ვისაც პროფესიონალურ სუმოში დებიუტი აქვს. ტოჩინოშინად წოდებულმა გორგაძემ 146-კილოგრამიანი მონღოლი მოკონამი წააქცია და ლიდერებში აღგილი შეინარჩუნა. ახლა გორგაძის ბალანსი შვიდი მოგება და სამი წაგებაა. ასეთივე ბალანსი კიდევ ორ სუმოისტს, ტამავაშის და საკაიზავას აქვთ, ქართველის ჩათვლით მათ მხოლოდ სამი ფალავანი — კიტაძაკურა, ჰოშიკახი და კიტატაიკი უსწრებენ. ამ სამეულს ათი ბრძოლიდან რვა მოგებული აქვთ მოგებული.

დღეს ლევან ცაგურია მე-13 მაეგაშირა ივაკიამას დაეჭიდება. 31 წლის იაპონელი ქართველს ერთი გამარჯვებით უსწრებს და მეორე დივიზიონის ორგზის ჩემპიონია. ლევან გორგაძეს მეტოქე კი 33 წლის ვეტერანი იაპონელი, 137-კილოგრამიანი ტოიძაკურაა, ვისაც უმაღლესი დივიზიონი ორჯერ, მეორე და მესამე დივიზიონი კი თითოჯერ მოუგია.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲒᲐᲜᲘᲫᲔ



Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ახალი რენოთი ბედნიერი ალონსო

„მაკლარენიდან“ „რენოში“ დაბრუნებულმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ ორშაბათს ვალენსიაში „რენოს“ ახალი მოდელი — R28 გამოსცადა, 39 წრე გაიარა და მიუხედავად იმისა, რომ ნისლიანი ამინდის გამო გამოცდა სრულყოფილი არ გამოვიდა, მაინც კმაყოფილი დარჩა.

ჯერ კიდევ ახალი ბოლიდის გამოცდამდე, ესპანელი არ მალავდა „რენოში“ დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს. „დედამიწის ზურგზე უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს. ძალიან მომწონს ამ გუნდში მუშაობა. ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაქვს — ჩემპიონატის მოგება გვსურს. არ მეგონა, თუ დაბრუნება ასეთი უპრობლემო იქნებოდა. იმედი მაქვს, ჩემპიონის ტიტულს, უკვე ამ სეზონში დავიბრუნებ“.

ორშაბათს ალონსოს საუკეთესო შედეგი წრეზე, წუთი და 13,027 წამი იყო. „როდესაც ახალი მანქანის საჭესთან პირველად ჯდები, უნდა დარწმუნდე, რომ ყველა სისტემა გამართულად მუშაობს. დღეს სწორედ ამით ვიყავით დაკავებულები და ნელ-ნელა ვზრდიდით წრეების სერიას. დღის ბოლოს 14-წრიანი სერია ჩავატარე და ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. უმნიშვნელო პრობლემები იყო, რომელთა აღმოფხვრაზე მუშაობას უახლოეს დღეებში გავაგრძელებთ“ — განაცხადა დღის ბოლოს ალონსომ, რომელიც ახალ მანქანაზე მუშაობას დღეს გააგრძელებს, ხოლო ხვალ ესპანელს მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი ნელსინიო პიკე შეცვლის.

„რენოს“ ახალი ბოლიდის ოფიციალური პრეზენტაცია 31 იანვარს, პარიზში შედგება.

კახა ლომაძე

უილიამსი წარსულის დაბრუნებას ცდილობს

ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „უილიამსი“ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობს. სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოში მიაჩნიათ, რომ ახალი FW30 სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და გუნდი უკვე ამ სეზონში იქნება კონკურენტუნარიანი.

1968 წელს შექმნილმა გუნდმა თავისი ბოლო, 113-ე დიდი პრიზი 2004 წელს ბრაზილიაში მოიპოვა ხუან პაბლო მონტოიას წყალობით, ხოლო ბოლო საჩემპიონო ტიტული 1997 წელზე მოდის, როდესაც ჟაკ ვილნევი ჩემპიონი გახდა, ხოლო გუნდმა კონსტრუქტორთა თასი მოიგო.

„ტოიოტას“ ძრავით აღჭურვილი ახალი FW30 ორშაბათს ვალენსიაში გუნდის ტესტ-პილოტმა, გერმანელმა ნიკო ჰულკენბერგმა გამოსცადა, ხოლო ძირითადი პილოტები — ნიკო როსბერგი და კაძუკი ნაკაჯიმა — საქმეს გუშინ შეუდგებოდნენ.

„ოთხწლიანი სტაბილური რეგლამენტის შემდეგ ჩვენ უკვე გვაქვს სოლიდური ბაზა საიმისოდ, რომ მკვეთრად წინ წავიწიოთ — განაცხადა „უილიამსის“ ტექნიკურმა დირექტორმა სემ მაიკლმა — შარშან ჩვენი მანქანა ძალზე საიმედო იყო და წლეულს ნამდვილად შეგვწევს იმის ძალა, რომ ახალი მანქანით უკეთესი შედეგები ვაჩვენოთ“.

FW30 გარეგნულად შარშანდელი FW29-ის მსგავსია, თუმცა, როგორც „უილიამსის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, ახალი ბოლიდი ძველს გაცილებით სჯობს და შორს არ არის ის დღე, როდესაც „უილიამსი“ კვლავ დაიწყებს დიდი პრიზების მოგებას.

კახა ლომაძე

კმაყოფილი ზაუბერი



პეტერ ზაუბერი, ამავე სახელწოდების მქონე საპირველფორმულო გუნდის ყოფილი მფლობელი, აღფრთოვანებული დარჩა მისი საჯინიბოს ბაზაზე არსებული „BMW-ზაუბერის“ ახალი მოდელით, რომელმაც წინა კვირაში ესპანეთში, რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე პირველი კილომეტრები გაიარა.

„საშუალება მქონდა, F1.08-ს ტრასაზე გასვლამდე დავკვირვებოდი და გულახდილად შემიძლია განვაცხადო, რომ ძალიან მომეწონა — ბრძანა შვეიცარიელმა და დაამატა — დიზაინი ხომ ბრწყინვალეა, ჩემს საყვარელ თეთრ ფერშია შეღებილი და რაც მთავარია, თავად ბოლიდი, მისი ახალი დეტალები, საქმისადმი წარმოუდგენელი ერთგულებით არის გაკეთებული. წლევანდელი სეზონისგან გაცილებით მეტს ველით. იმედი გვაქვს, რომ პოდიუმს გავუშინაურდებით და გამარჯვებებსაც მოვიპოვებთ. თუმცა, ამ ეტაპზე მოთმინება გვმართებს. საჭიროა ვნახოდ, თუ როგორი პროგრესი განიცადეს ჩვენმა მეტოქეებმა“.

კახა ლომაძე

რეგულარული ჩემპიონატი

21 იანვარი

აილენდერსი 2:3 კაროლინა

0:0 2:0 0:2 0:1 (ოვერტაიმში)

1:0 ჯილბერტი (24), 2:0 შტანი (33), 2:1 კომოდორი (44), 2:2 ვალინი (56), 2:3 სტილმანი (61)

ფინიქსი 6:2 ბუფალო

1:1 3:0 2:1

1:0 ვინიკი (1), 1:1 ჰოსტადი (11), 2:1 კაპანენი (22), 3:1 დოუნი (26), 4:1 მორისი (28), 4:2 სტეფორდი (42), 5:2 მიულერი (58), 6:2 ჯოვანოვსკი (59)

ნეშვილი 6:3 სენტ ლუისი

2:1 2:1 2:1

0:1 ბოისი (4), 1:1 ვებერი (6), 2:1 ნიკოლი (10), 2:2 ჰაინაუტი (33), 3:2 რადულოვი (37), 4:2 ჟელინა (40), 5:2 რადულოვი (42), 5:3 ტკაჩუკი (43), 6:3 ჟელინა (60)

პიტსბურგი 5:6 ვაშინგტონი

2:2 2:2 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 ტელბოტი (5), 1:1 ფლეიშმანი (11), 1:2 კოზლოვი (17), 2:2 მალკინი (17), 2:3 ოვეჩკინი (22), 3:3 მალკინი (24), 4:3 სიკორა (27), 4:4 ოვეჩკინი (28), 5:4 მელოუნი (46), 5:5 კოზლოვი (56)

ვანკუვერი 2:4 მინესოტა

0:0 1:2 1:2

0:1 როლსტონი (30), 1:1 ბეროუზი (31), 1:2 ბუშარი (33), 1:3 კოივუ (56), 2:3 პაიეტი (60), 2:4 ბუშარი (60)

გეცლაფის კვირა

გასული კვირის პირველვარსკვლავობა „ანაჰიამის“ ახალგაზრდა თავდასხმელ რაიან გეცლაფს ერგო. კანადელი გუნდის აშკარა ლიდერად ყალიბდება და მოქმედი ჩემპიონის წინა ხაზის მთავარ იმედს წარმოადგენს. გეცლაფმა, რომელიც ამ უქმეებზე თავის პირველ ოლ-სტარზე ითამაშებს, წინა შვიდდღეულში 8 ქულა (2+6) მოაგროვა და ლომის წილი დაიდო იმაში, რომ „იხვებმა“ ოთხიდან სამ შეხვედრაში იმარჯვეს.

ბოლო ხანებია, გეცლაფი მართლაც შთამბეჭდავად თამაშობს — აგერ უკვე 14 მატჩია, ყინულს უქულოდ არ ტოვებს და ამ პერიოდში 6 გოლთან ერთად 15 შედგიანი გადაცემა გააკეთა. მთლიანად კი სეზონში, მის ანგარიშზე 57 (19+38) ქულაა და ბომბარდირთა დავაში დღეისთვის მე-8 ადგილზეა, ხოლო მისი სარგებლიანობის მაჩვენებელი (+25) მთელ ლიგაში მეოთხეა.

მეორე ვარსკვლავად „ტამპას“ შვედი კარის დარაჯი იოჰან ჰოლმკვისტი დასახელდა. ისე, ლიგის აუტსაიდერის მეკარისგან ასეთი თამაში ძალიან გასაკვირი გახლდათ, თუმც სკანდინავმა ზედიზედ ორი შათაუტი გააკეთა და ამით კვირის ლაურეატებში მოხვედრაც გაიანაღდა. „ტამპას“ გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ სანანებლად, რომ ჰოლმკვისტი ასე მთელი სეზონის განმავლობაში არ თამაშობს.

კვირის მესამე ვარსკვლავი კი, ზედიზედ მეორე კვირაა, „ფილადელფიას“ მარცხენაფლანგელი სკოტ ჰარტნელია. მან 6 ქულით (5+1) გაიმდიდრა პირადი მონაგარი.

კახა ლომაშვილი

ოლსტარმა ვარსკვლავები დაკარგა

ბოლო კვირებში ნჰლ-ში ტრავმების ეპიდემია მძვინვარებს, რაც გვარიან ცვლილებებს შეიტანს ამ უქმეებზე დაგეგმილი ოლ სტარის შემადგენლობაში. დიდი შანსია, მაყურებელმა ბევრი ვარსკვლავი ვერ იხილოს ყინულზე, მათ შორის ის ჰოკეისტები, რომლებიც თავად დაიფასეს და ძირითად ხუთეულებში აირჩიეს.

ოლ სტარის უმთავრესი დანაკლისი უცილობლად სიდნი კროსბი იქნება, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ფეხის კუნთი გაიჭიმა და მინიმუმ ერთი თვე ყინულზე ვერ გავა. ხოლო კროსბის პოპულარობას თუ გავითვალისწინებთ, ადვილად გასაგებია, როგორი იმედგაცრუებულები იქნებიან ნჰლ-ის ბოსები.

კროსბის გარდა ოლ სტარს ალბათ გამოტოვებენ ოტაველი სუპერვარსკვლავები — დანიელ ალფრედსონი და დენი ჰიტლი. ეს უკანასკნელი ატლანტაში ნამდვილად ვერ ჩავა, რადგანაც მხარი სერიოზულად დაიზიანა და კიდევ ორიდან სამ კვირამდე უქმობა მოუწევს. აი, ალფრედსონმა კი ვარჯიში თითქოს დაიწყო და შეიძლება ოლ სტარამდე გამოჯანმრთელება მოასწროსო, თუმც ბევრს ამაში მაინც ეჭვი ეპარება.

ბოლო ცუდი ინფორმაცია კი გუშინ გავრცელდა, როცა უკვე „დეტროიტის“ ლიდერმა ჰენრიკ ზეტერბერგმა განაცხადა, შეიძლება ოლ სტარზე ვერ ვითამაშოო. არადა, გულშემატკივრებმა ეს ბიჭიც ძირითად შემადგენლობაში აირჩიეს. მაგრამ შვედი უკვე ქრონიკულში გადაზრდილმა ზურგის ტრავმამ შეაწუხა და ამიტომ გუშინ ვარჯიშიც ვერ მოახერხა — სავარაუდოდ, ის „ლოს ანჯელესთან“ და „ანაჰაიმთან“ შეხვედრებს გამოტოვებს და წესით, ატლანტაში წასვლაზეც ხელი უნდა აიღოს.

კახა ლომაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მახეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულაძიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად ძოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge